პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 12 (1441). პარასკევი, 19 მარტი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესის ცნობა

1965 წლის 18 მარტს 10 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაყვანილია კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აისი-2". ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური — კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი პაველ ივანეს ძე ბელიაევი, მეორე პილოტი — კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ალექსი არქიპის ძე ლეონოვი.

თანამგზავრი ხომალდი „აისი-2" გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს.

წინასწარი მონაცემებით, დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის მიმოქცევის პერიოდი შეადგენს 90,9 წუთს, მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) და მაქსიმალური (აპოგეა) შესაბამისად უდრის 173 და 495 კილომეტრს, ორბიტის დახრილობა დაახლოებით 65 გრადუსია.

კოსმოსურ ხომალდთან „აისი-2" დამყარებულია განუწყვეტელი ორმხრივი რადიოკავშირი.

ხომალდის მეთაურის ამხანაგ პაველ ივანეს ძე ბელიაევის მოხსენებით, აგრეთვე ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემებით, ეკიპაჟმა დამაკმაყოფილებლად გადაიტანა ორბიტაზე ხომალდის გაყვანა და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა.

ამხანაგები ბელიაევი და ლეონოვი აწარმოებენ მუშაობას კვლევის პროგრამის შესაბამისად. ისინი კარგად გრძნობენ თავს.

კოსმოსური ხომალდიდან „აისი-2" ცნობების გადმოცემა წარმოებს 143, 625, 17,365 და 18,035 მეგაჰერცი სიხშირით. ხომალდზე დადგმულია აგრეთვე გადმომცემი „სიგნალი", რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით.

კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

21 მარტს — საარჩევნო ყუთებთან

კიდევ ორი დღე და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საარჩევნო ყუთებთან მივლენ, რათა ხმა მისცენ ღირსეულთ — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში თავიანთ წარგზავნილებს.

ხელისუფლების ორგანოების არჩევნები ჩვენში საზეიმო ვითარებაში ტარდება და უდიდესი სახალხო დღესასწაულის ხასიათს იღებს. არჩევნებისათვის გაჩაღებული მზადება ხალხში ახალ-ახალ შემოქმედებითს თაოსნობას ბადებს. ყველა მშრომელი, რომელ უბანზეც არ უნდა მუშაობდეს იგი, მიისწრაფვის არჩევნების საზეიმო დღეს ახალი მიღწევებით შეხვდეს, პირნათლად და გადაჭარბებით შეასრულოს სოციალისტური სამშობლოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და აამაღლოს პროდუქციის ხარისხი. საბჭოთა ინტელიგენტიც ძალასა და შესაძლებლობას არ იშურებს, რომ დიდი ღირსების სიმაღლეზე იდგეს, ცხოვლად ეხმაურებოდეს ცხოვრების მაჯისცემას და ღირსშესანიშნავი წვლილი შეჰქონდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

გაიზიარო შენი ხალხის ჭირი და ლხინი, მთელი სიცოცხლე წვეთ-წვეთად მოახმარო სამშობლოს კეთილდღეობას, მის აწმყოსა და მომავალს, — არაფერია ამაზე უფრო წმინდა, ამაზე უფრო ლამაზი და კეთილშობილური. ადამიანს სამშობლოს სიყვარული ამაღლებს, ის აქცევს მას ნამდვილ მოქალაქედ, ის შთააგონებს მას გმირობასა და სიმამაცეს!

და სწორედ ამიტომ, არჩევნებისათვის მზადების მთელი პერიოდი, თვით არჩევნების დღე აღბეჭდილია პატრიოტული სულისკვეთებით, მისი მგზნებარება ათრობს და ალაღებს ჩვენს სულსა და გულს.

ჩვენი დეპუტატობის კანდიდატები კომუნიზმის აქტიური მშენებლები არიან, მათ უყვართ და თავდადებით იცავენ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, ადიდებენ და ამდიდრებენ საბჭოთა ხალხის გმირულ ტრადიციებს. ამიტომ მათ ერთსულოვნად ვაძლევთ ხმას, დეპუტატებად ვირჩევთ იმის ღრმა რწმენით, რომ ისინი გაამართლებენ ხალხის ამ პატივსა და ნდობას.

ყველაზე დემოკრატიული პრინციპებით, მშრომელთა შეგნებული და აქტიური მონაწილეობით შექმნილი საბჭოები მძლავრი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზმია, რომელიც გამოხატავს და ემსახურება ხალხის ინტერესებს.

საბჭოები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანმიმდევრობით იბრძვიან ცხოვრების გარდაქმნისათვის, სათავეში უდგანან ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათს შემოქმედებითს შრომას, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ეს არჩევნები ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა წყობილებისადმი ჩვენი ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას. აირჩევს რა ახალ საბჭოებს, ამით ხალხი ხმას მისცემს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, იგი ხმას მისცემს კომუნიზმის მშვიდობიანი მშენებლობის, ხალხთა მეგობრობისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკას, რასაც ენერგიულად და თანმიმდევრობით იცავს და ახორციელებს საბჭოთა მთავრობა.

21 მარტს ყველანი საარჩევნო ყუთებთან!

დღეს გაიხსნება საქართველოს მხატვართა VI ყრილობა

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

ელენე ახვლედიანი

საქართველოს სახალხო მხატვარი

ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაში — „მშვიდობის სადარაჯოზე" — მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან ვერ მოვასწარი დამემთავრებინა მშვიდობისადმი მიძღვნილი ტილო „ეს არ უნდა განმეორდეს". ამ ნაწარმოებს უახლოეს ხანებში დავამთავრებ. იგი გამოფენილი იქნება მოსკოვში სსრკ მხატვართა გამოფენაზე, რომელიც აგრეთვე თემატური იქნება და მშვიდობას მიეძღვნება.

შემოქმედს არასოდეს გამოელევა გეგმები. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა დავხატო რუსთაველის პოემაში მოცემული პეიზაჟები. რუსთაველი ძალიან ძუნწად და მკაცრად აღწერს პეიზაჟებს, ამიტომ ამ თემაზე მუშაობა საკმაოდ რთულია, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც მოვახერხებ რაიმე საინტერესოს გამოვნახავ. მსურს რუსთაველის დიდ იუბილეს ამ ნამუშევრით შევხვდე. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა აგრეთვე ტილოზე გადმოვიტანო მუსიკალური ნაწარმოებებიდან მიღებული შთაბეჭდილებები. უკვე შესრულებული მაქვს ფრაგმენტები დებიუსის „ნაბიჯები თოვლში" და „ჩაძირული ქალაქისათვის". ვმუშაობ აგრეთვე ნ. სულხანიშვილის ქორალების თემებზე.

როგორც ხედავთ, ბევრი რამ მაქვს განზრახული, ვნახოთ რას მოგვცემს მომავალი.

„მშვიდობის სადარაჯოზე"



მშვიდ ზღვაზე. მხატვარი გ. თოიძე.



შრომის არმია. მხატვარი თ. ხულავა.

ნიკოლოზ კანდელაკი

საქართველოს სახალხო მხატვარი

ახლახან, თბილისში გახსნილ თემატურ გამოფენაზე — „მშვიდობის სადარაჯოზე" — გამოვფინე ორი ბიუსტი: გენერალ ქუთათელაძისა და გენერალ ჯანჯღავასი. განზრახული მაქვს გამოვძერწო ჩვენი ლიტერატურის მოღვაწეების სახეები. დავიწყე მუშაობა ცნობილი პოეტისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის პორტრეტზე. უახლოეს ხანებში გამოვძერწავ აგრეთვე პოეტ-აკადემიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ირაკლი აბაშიძის სახეს.

საქართველოს მხატვართა მიმდინარე ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. მინდა დელეგატების ყურადღება გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. ეს არის სახვითი ხელოვნების კადრების მომზადება. როგორც ცნობილია, ამას წინათ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სამხატვრო აკადემიაში დაიხურა ქანდაკებისა და ფერწერის ფაკულტეტები, რაც აფერხებს ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მოზიდვას. ამ საკითხზე მე ვილაპარაკე ამას წინათ გამართულ სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმზე და მხარი დამიჭირა როგორც გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ", ისე ბევრმა კამათში გამოსულმა ამხანაგმაც.

ვფიქრობ ამის შესახებ ყრილობა იტყვის თავის სიტყვას.

აპოლონ ქუთათელაძე

საქართველოს სახალხო მხატვარი

მეხუთე ყრილობის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართველ მხატვართა სამყაროში — სამხატვრო აკადემიაში. ახლა ჩვენ გვაქვს სამი ისეთი ფაკულტეტი, რომელთა მნიშვნელობა მეტად დიდია. ესაა — სახვითი, არქიტექტურული და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტები. ეს უკანასკნელი ამზადებს მხატვარ-კონსტრუქტორებს, რომლებიც იმუშავებენ მრეწველობის სხვადასხვა დარგში. საჭიროა ყოველი ნივთი, რომელსაც ამუშავებს მშობლიური მრეწველობა, გემოვნებით იყოს გაფორმებული, ადამიანს ანიჭებდეს ესთეტიკურ სიამოვნებას. სტუდენტები უკვე ეხმარებიან მრეწველობას. საქვეყნოდაა ცნობილი აკადემიის სტუდენტთა კერამიკული ნამუშევრები. რამოდენიმე წლის წინათ პრაღაში ჩვენმა კერამიკოსებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს. უახლოეს ხანებში მათი ნაწარმოებები გაიგზავნება ირანში. ვფიქრობ, რომ აქაც ისინი მოწონებას დაიმსახურებენ.

უკანასკნელი წლების პირმშოა აგრეთვე ერთი საინტერესო წამოწყება. ჩვენი აკადემია ხშირად გზავნის ახალგაზრდა მხატვრებს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი ეცნობიან ხელოვნების სიახლეებს.

მე ამჟამად ვმუშაობ საკოლმეურნეო ცხოვრების თემებზე, მინდა შევქმნა ნაწარმოებები მეჩაიეთა და მეციტრუსეთა შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრებაზე. განზრახული მაქვს აგრეთვე შევქმნა ფართო ტილო თამარ მეფეზე, უკვე ვხატავ „თამარის ლაშქრობას".

გეგმები ძალიან ბევრი მაქვს, ვნახოთ როგორ შევძლებ მათ განხორციელებას.

გიორგი ოჩიაური

პირადად მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ საქართველოს მხატვართა მეექვსე ყრილობას. ვფიქრობ, აქ მრავალ საჭირბოროტო საკითხზე მეტად სასარგებლო და საქმიანი საუბარი გაიმართება. მე, როგორც მოქანდაკეს, არ შეიძლება არ მაწუხებდეს სახვითი ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ბედი. მე გავეცანი მხცოვანი მოქანდაკის ნ. კანდელაკის გამოსვლას სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმზე და აღფრთოვანებული ვარ მისი ინიციატივით. დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობს ბევრი ჩვენი მოქანდაკე. ყრილობა, ალბათ, იმსჯელებს ამ საკითხებზე.

ახლა კი ჩემი შემოქმედებითი გეგმების შესახებ. ამას წინათ დავამთავრე ქორწინების სახლი, აქ მე შევქმენი ბარელიეფი „შენ ხარ ვენახი", ახლახან გამოფენილ ქართველ მხატვართა თემატურ გამოფენაზე გამოვიტანე ქანდაკება „დაბადების წელი 1965". იგი მიძღვნილია მშვიდობისადმი. დავამთავრე აგრეთვე აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ბიუსტი, წელს კი ვმუშაობ ჩემი საყვარელი პროზაიკოსის ლეო ქიაჩელის სახის გამოძერწვაზე. ვაგრძელებ ვაჟას ნაწარმოებების ილუსტრირებას, მხატვრულად ვაფორმებ სხვადასხვა წიგნებს. ჩაფიქრებული მაქვს რამდენიმე ახალი ნაწარმოები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ჩემს ოცნებაშია და მათზე ლაპარაკი საჯაროდ ჯერ-ჯერობით ზედმეტად მიმაჩნია.

მერაბ მერაბიშვილი

ჩვენი ყრილობა ჭეშმარიტად კარგ დროს დაემთხვა. მთელი ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად.

ჩემი ახალი თემაა სიმბოლური ქანდაკება „გამარჯვება", რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის მოვამზადებ.

როგორც ხედავთ, ეს მეტად საპასუხისმგებლო თემაა. ამიტომაც მთელს ახლო მომავალს მხოლოდ და მხოლოდ მას მოვანდომებ.

ეს-ეს არის დავამთავრე ცნობილი ქართველი მსახიობის დოდო ჭიჭინაძის სკულპტურული პორტრეტი. თუ როგორი გამოვიდა იგი, ახლო ხანში შევიტყობთ, როცა საშუალება მომეცემა ნაწარმოები საზოგადოების წინაშე წარვადგინო.

შალვა დადიანი.
მოქანდაკე ნ. კანდელაკი.

„მშვიდობის სადარაჯოზე"

თითქმის ერთი თვეა, რაც საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა — „მშვიდობის სადარაჯოზე". აქ წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის მხატვართა ნამუშევრები — პლაკატი, ქანდაკება, გრაფიკის, ფერწერისა და ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

ამ ნაწარმოებებში ასახულია ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვების გზა.

სამასორმოცდაათი ნაწარმოები ერთ დიად თემას — მშვიდობის ზეიმს ემსახურება.

გამოფენას ინტერესით ეცნობიან ჩვენი დედაქალაქის მშრომელები.

ყვირილას შავი ტალღები

ნიული

ჭიათურაში დილით ჩავედი.

მარგანეცის გამდიდრებისა და ტექნიკური კონტროლის სახელმწიფო კანტორა იქვე, სადგურთან ახლოს იყო.

...ფეხი შევდგი თუ არა კაბინეტში, სამუშაო მაგიდასთან ღიმილით წამოდგა მაღალი და ახოვანი ჭაღარა კაცი, ოდნავ მოშავო წარბები გაშალა და ფართო თვალებით ღიმილი შემომაფრქვია.

— გრიგოლ კარსელიძე, ჩემო ბატონო! — ხელის ჩამორთმევისთანავე ხავერდოვანი ბოხი ხმით გამაცნო თავისი თავი — დაბრძანდით.

ტელეფონმა დარეკა. გრიგოლმა მოიბოდიშა და ყურმილი აიღო. საუბარში ხშირად ურთავს ხოლმე გრიგოლი „ჩემო ბატონოს" და ამ სამოც წელს მიტანებული ჭაღარა კაცის საუბარს „ჩემო ბატონო" საოცრად მიმზიდველს და თავაზიანს ხდის. „წარმოიდგინეთ თქვენ" და „მოგეხსენებათ" მის ფიქრიან და აზრიან სიტყვა-პასუხს თავისებურ იერს აძლევს.

როცა ჭიათურაში ამერიკული კონცესიები გაუქმდა და მარგანეცის მაღაროები სახელმწიფოს ხელში გადავიდა, საჭირო შეიქნა საკუთარი სპეციალისტები გვყოლოდა. განათლების სამინისტრომ 1928 წელს გრიგოლი ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში გაგზავნა. 1933 წელს სამთო ინჟინერი გრიგოლ კარსელიძე მშობლიურ ჭიათურას დაუბრუნდა და მას მერე ენერგიულად ემსახურება მარგანეცის საქმეს.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა გრიგოლი ამერიკაში გაგზავნა, საბჭოთა კავშირიდან აქ გაგზავნილი წიაღისეული სიმდიდრეების მიმღებად და სარეალიზაციოდ.

ოთხი წელი დაჰყო ცოლ-შვილით გრიგოლმა ნიუ-იორკში. 1947 წელს იქ მეოთხე შვილი შეეძინა. მას ნიული დაარქვეს. მისი დაბადების მოწმობაში დაბადების ადგილად ნიუ-იორკი აღნიშნული.

* * *

გარეთ წვიმდა.

თავქვე დავეშვით ქალაქისაკენ. ურიცხვი ელექტროლამპიონები იქრის ჩანგებივით მიმოფანტულან გრძელი ხეობის იქეთა და აქეთა კალთებზე. მათ შუქზე წვიმის გრძელი ძაფები ელვარებდა.

ერთბაშ გრიგოლს ფეხი დაუცდა და მაშინვე ხელი მივაშველე.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, — თქვა გრიგოლმა, — ეს არაფერია, ჭიათურის ნიადაგზე კიდეც რომ დავეცე, არაფერი დამიზიანდება.

გრიგოლის სახლთან შევჩერდით. კარი ნიულიმ გაგვიღო. დაგვინახა თუ არა, მაშინვე მორიდებულად გვთხოვა:

— შემობრძანდით!

ჩვენ ვიუარეთ, გვიანი იყო და უპირატესად მივიჩნიეთ უდროო დროს სტუმრობა.

გავყევით ყვირილას ნაპირს და უკან მოგვდევდა ჭიათურელი გოგონას „მის" ნიულის ხალისიანი კისკისი.

სოსო და მისი მეგობრები

მეორე დღეს, დილით, ახალი დარკვეთისაკენ გავემართეთ.

ყვირილას მარჯვენა სანაპიროდან მანქანა მკვეთრად დაქანებულ გზას აღმა შეჰყვა. გვერდით ჩავუარეთ ახალ გიგანტს — ახალი დარკვეთის გამამდიდრებელ ფაბრიკას. ორი წლის წინათ ვყავი აქ. მაშინ ამ ფაბრიკის მშენებლობა და მანქანა-დანადგარების მონტაჟი მიმდინარეობდა. ჭიათურელი მშენებლები დღე და ღამეს ასწორებდნენ ამ გიგანტის დროულად ამოქმედებისათვის.

აი, ისიც! მისი თეთრი კედლები დარკვეთის მთის სიმაღლემდე აღმართულა. მაღაროებიდან გამოტანილი მარგანეცის მადანი ავტომატურად მიექანება ამ ფაბრიკისაკენ და აქ ავტომატურად ხდება მისი გადამუშავება, გამდიდრება.

ჭიათურაში ახალი დარკვეთის მაღარო ყველაზე ძლიერი მაღაროა.

მანქანა მთას ქედზე მოექცა და ჩვენ მარგანეცის ღია კარიერებს გადავცქერით.

გაღმა მთებზე პირამიდებივით აღმართულა კონუსისებური მიწაყრილები. მაღაროებიდან გამოტანილ მიწას საბაგირო ვაგონები აყრიან და აყრიან ამ მიწაყრილებს და ასე თანდათან იზრდება წვეტიანი მთები. გავა დრო და ის ახალი მთებიც ამწვანდება, ბუჩქები მათზეც ფესვს მოიკიდებს და მათაც დაერქმევათ რაიმე სახელები. ასე ჩნდება ამ მაღალ მთებზე ახალი მთები.

გრუხუნებენ ექსკავატორები. ზღვაზე აშლილი ტალღებივით ჩანს გაღმა მხარეს გრძლად გაჭიმული მიწაყრილები. ღრმა და ფართო თხრილში ჩამდგარ პატარა ექსკავატორებთან თვითმცლელი ავტომანქანები ჩერდებიან, მარგანეცის მადნით იტვირთებიან და მაშინვე შორდებიან ექსკავატორებს.

მარგანეცის ფენები ზოგან მიწის ზედაპირიდან თვრამეტი მეტრის სიღრმეზეა. ასეთ შემთხვევაში ხელსაყრელი არ არის მარგანეცის მადნის გვირაბებით დამუშავება. ექსკავატორებით მიწას ქანებს აცლიან მარგანეცის ფენამდე და თვითმცლელი მანქანებით გააქვთ მადანი.

აგერ, ვეებერთელა ექსკავატორი დგას. ექსკავატორის ხორთუმზე მიბმულ მძიმე ბაგირს, რომელიც მოულოდნელად გაწყვეტილა და ახლა მას გადაბმას ცდილობენ, რამდენიმე ახალგაზრდა ჩაფრენია და რაც ძალა და ღონე აქვს ქაჩავს.

— ესენი ჩვენი საამაყო ყმაწვილები არიან, ბიჯით მოსიარულე ექსკავატორის ახალგაზრდული კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, — მეუბნება მაღაროს დირექტორი ნოდარ ჩხენკელი.

ნოდარი ჯერ ახალგაზრდა ინჟინერია. 1950 წელს სამთო ინსტიტუტი დაამთავრა და მას მერე აქ მუშაობს. ახლა ამოდენა მაღაროს უფროსობა მიუნდვიათ და კარგადაც უძღვება მას.

ბიჭებმა ექსკავატორს ბაგირი მიამაგრეს. მაღალი და ატლეტური აგებულების, მზეში დამწვარი ბრიგადირი სოსო საჭეს მიუჯდა და ვეებერთელა ექსკავატორი ამოძრავდა. ჩვენ მართლაც ჭიანჭველებივით ვჩანდით ამ ბუმბერაზთან. გრძელი ხორთუმი ღრმა თხრილში ჩაყო, მიწა ყბებში მოიქცია და გაღმა მიწაყრილს გადააყარა.

სოსო ცუხიშვილმა საშუალო სკოლის შემდეგ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი დაამთავრა. მერე ჯარში სავალდებულო სამსახური მოიხადა და კვლავ ჭიათურას დაუბრუნდა. პატარა ექსკავატორზე მუშაობდა. მერე ურალში გაგზავნეს ბიჯით მოსიარულე ექსკავატორის შესასწავლად. 1960 წელს ეს ბუმბერაზი დაშლილი ჩამოიტანეს. სოსომ თვითონ ააწყო და მას მერე მასზე მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელად.

სოსოს ძმებივით უდგანან მხარში მეგობარი და მხიარული მეგობრები: დემურ მაჭავარიანი, ალიოშა წიგნაძე, რეზო კაპიტაძე, რევაზ ჭანკვეტაძე, დავით მეძმარიაშვილი, ნიკო მესხი. ხედავთ ამ გოლიათთან მომუშავე მაზუთით გაზინთულ ახალგაზრდებს და არ შეიძლება ყური არ დაუგდოთ მათ გულისცემას.

ბევრი მათგანი უცოლშვილოა და აქვე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს.

დემურმა ჯიბიდან სურათი ამოიღო და ნოდარს გაუწოდა. დირექტორი დააჩერდა სურათზე აღბეჭდილ მომღიმარე ლამაზ გოგონას.

— ვინ არის, ბიჭო, ეს გოგო?

— რუჟენა, ბატონო.

— რომელი რუჟენა?

— უნგრელია.

— შენ, ბიჭო, ცოლი გყავს და ეს სურათი რათ გინდა?

— იმისია, უფროსო, — დემურმა ექსკავატორის საჭესთან მჯდარ სოსოსაკენ გაიშვირა თითი, — ეს უნგრელი გოგო მოსკოვში ფესტივალზე თუ ჩეხოსლოვაკიაში გაუცვნია და ახლა ერთმანეთს წერილებს სწერენ. ერთხელაც რომ მოუპრიანოს და სოსომ მისწეროს, ჩამოდი, ჯვარი დავიწეროთო, ხომ მოგვეჭრება თავი. უფროსო, სად დავიწეროთ ჯვარი?! აი, ერთი კარგი ახალგაზრდული კლუბი რომ გვქონდეს, იქ კი სანაქებო ქორწილს გადავუხდიდით სოსოს, თქვენც უფრო დაგვიმშვენებდით თამადობას, უფროსო. — აგრძნობინა, რომ მუშათა კულტურული დასვენება-გართობისათვის უფრო მეტი ზრუნვა იყო საჭირო.

დირექტორმა ჩაიცინა და თვალი ექსკავატორის გრძელ ხორთუმზე ჩამოკიდებულ ვეებერთელა კბილებიან ჩამჩას მიაშტერა.

ნახვამდის!

დირექტორი თვითმცლელ საბარგო მანქანასთან შეჩერდა. ექსკავატორი მარგანეცით ტვირთავს მანქანას. კაბინიდან თავი გადმოუყვია მარგანეცის მტვრით გამურულ, გაუპარსავ ახალგაზრდა მძღოლს.

— დღეს მიდიხარ, ჯემალ? — ჰკითხა მოფერებით დირექტორმა.

— ბოლო რეისი მიმაქვს, — კაბინის კარი გააღო და ყმაწვილი ძირს ჩამოვიდა, — ჩავცლი ამას და გავემგზავრები. ამ საღამოს წავალ.

— აბა, შენ იცი, კარგად ჩააბარე!

რაკი ბოლო რეისი იყო და მერე მანქანა ქალაქში მიდიოდა, გამოვემშვიდობე დირექტორს და ახალგაზრდა მძღოლს კაბინაში გვერდით მივუჯექი. თანაც დირექტორმა ისე კარგად დამახასიათა ყმაწვილი მძღოლი ჯემალ ნიზაძე, რომ ვიფიქრე, გავიცნობ მეთქი.

ჯემალს მძღოლობა ჯარში უსწავლია. ჯარიდან დაბრუნებულა თუ არა, სოფელში აღარ გაჩერებულა... პირველ ხანებში ვერ ანდეს თურმე საჭე. ჯერ პატარა ხარო. მერე გამოცდილ მძღოლს იური გუჩაძეს მიამაგრეს. იურიც ახალგაზრდა იყო და ძალიან შეეყვარდათ ერთმანეთი. მერე ჯემალს მანქანაც ანდეს და იმ დღიდან მის ქებაშია დიდი და პატარა. პატარა რომ არის და ბავშვური შესახედაობა რომ აქვს, მეგობრებმა მოსაფერებლად მერცხალა შეარქვეს.

შარშან ზამთარში, ერთხელ, ნაშუადღევის სამ საათზე მასთან საერთო საცხოვრებელში მაღაროს უფროსი მივარდა, გააღვიძა და უთხრა, იურის მანქანა გაუფუჭდა და მიეშველეო. თავქუდმოგლეჯილი მივარდა იურისთან, მაგრამ მანქანის გაკეთებას დრო სჭირდებოდა. მაღარო კი ცდებოდა. მაშინ ჯემალი თავისი მანქანით წავიდა იურის ნაცვლად და დილამდე მეგობრის მაგივრად იმუშავა. დილიდან კი თავის წილ ცვლას შეუდგა.

უცებ ჯემალმა მანქანა გზის კიდეზე დააყენა. ძირს ჩავიდა და გზაზე პირისპირ მომავალ ქალიშვილს მიეგება. ცოტახანს ღიმილით გაესაუბრნენ ერთმანეთს და ჯემალი სირბილით დაბრუნდა მანქანასთან.

— ის გოგონა ვინ არის? — ვკითხე მე.

— ნანულია, ბატონო, — გაიღიმა და მიპასუხა, — მერვეისას მაღაროში მწონავ-კონტროლიორია. ამ საღამოს თბილისში მივდივარ, საგანი მაქვს ჩასაბარებელი. ვუთხარი, რომ მივდივარ მეთქი. ნანულიც სწავლობს დაუსწრებლად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მე ეკონომიურ ფაკულტეტზე ვსწავლობ, მესამე კურსზე ვარ.

მხიარულობს ეს გამურული, წვერგაუპარსავი ყმაწვილი და ბავშვურად მიამიტი თვალებით ფართო გზას წინ გაჰყურებს.

გამახსენდა გამომშვიდობებისას დირექტორის ნათქვამი:

— თუმცა მანქანები გვაკლია, მაგრამ ყველა მანქანაზე მძღოლებად ამისთანა ყმაწვილები რომ მყავდეს, მანქანების ნაკლებობას ვერ ვიგრძნობდი.

მანქანა ყვირილას ნაპირ-ნაპირ მისდევს.

მაღლა, გორდაგორ ერთმანეთს მისდევს გრძელ ბაგირებზე მარგანეცით დატვირთული და უკან დაბრუნებული ცარიელი საბაგირო ვაგონები. სამგზავრო საბაგირო ვაგონებს მაღალ მთაზე აჰყავთ და ჩამოჰყავთ მაღაროელები.

მირბის ყვირილა და შავ-შავ ტალღებს მიაგორებს გასრიალებით. ყვირილა სათავიდან ასეთი შავი არ არის: აგერ, სულ ახლოს, ჭიათურაში შემოსასვლელთან მარგანეცის ნარეცხი აშავებს ანკარა ყვირილას და აქედან რიონამდე ასე გაზანგული მიედინება.

რეცხვის დროს ყვირილას მიაქვს ურიცხვი ფხვიერი მარგანეცი. დიდი ხანია ამაზე ფიქრობენ აქაური სამთო-ინჟინრები, თუ როგორ წაართვან მდინარეს მილიონობის ღირებული ძვირფასი მარგანეცის ნაწილაკები. ამიტომაც ახლა აგერ იმ დიდ გორაზე აგებენ ვეებერთელა აუზს, სადაც უნდა გაიფილტროს ყვირილა. იმ აუზში დაილექება ყვირილას მიერ გატაცებული მარგანეცი და მაშინ კვლავ გაანკარავდება მდინარე.

ახლა ქალაქის ბოლოს, რკინიგზის სადგურის გასწვრივ, ყვირილაზე, მაღალი კაშხალი შენდება. ყვირილა აქ დაგუბდება და მშვენიერ სანაპიროებს შორის ჩაგუბებული საუცხოო საცურაო და სანაოსნო მდინარე იქნება.

ხიდთან ჯემალს გამოვემშვიდობე, წარმატება ვუსურვე ხვალ გამოცდის ჩაბარებაში.

— ნანული, ალბათ, გაგაცილებს ამ საღამოს, — ვუთხარი ყმაწვილს.

— რა ვიცი, ბატონო, — შემომღიმა ჯემალმა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

საღამომდე მეც მოვათავე საქმე და საღამოს სადგურში კვლავ შევხვდი ჯემალს, გაპარსული და ლამაზად ჩაცმული, პატარა ჩემოდნით ხელში, ნანულისთან ერთად იდგა. მე არ დავარღვიე მათი მყუდროება.

როცა მატარებელი თბილისისაკენ დაიძრა, ვაგონის ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ უქნევდა ხელს ვაგონის კიბეზე მდგარი ჯემალი ბაქანზე დარჩენილ ნანულის.

მატარებელმა სვლას უმატა და ქშენით გაჰყვა ყვირილას შავი ტალღების დინებას.

ლადო სულაბერიძე

„მშვიდობის სადარაჯოზე"



[illegible] მხატვარი გ. როინიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის იურიდიული ტერმინოლოგია

ილია ჭავჭავაძის იურიდიული აზროვნების საკითხის განხილვის დროს გვერდს ვერ ავუვლით იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, სადაც იგი ეხება კანონსა და სამართალს, სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ წყობას, მართლმსაჯულებას და საზოგადოების სოციალურ და ეკონომიურ პრობლემებს. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამართლებრივი საკითხების განხილვის დროს პუბლიცისტი და მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის საზოგადოებაში გავრცელებულ ცალკეულ იურიდიულ ტერმინებს, სიტყვებს, რომელთა უხმარებლად სპეციალურ საკითხზე დაწერილი ნაშრომი ბუნდოვანი იქნება სრულყოფას და მკითხველს ვერ გააცნობს წამოყენებულ დებულებებსა თუ აზრებს. სახელმწიფოს და სამართლის საკითხებისადმი ილია ჭავჭავაძის დიდი ყურადღება, სპეციფიკურ ნაშრომებში აუცილებელს ხდის იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებას, მაგრამ ილიას შემოქმედებაში მარტო ტერმინოლოგიის გამოყენებასთან არა გვაქვს საქმე, გარდა იმისა, რომ იგი ხშირად იყენებს საზოგადოებაში გავრცელებულ იურიდიულ ტერმინებს, ამავე დროს პოულობს და ქმნის ქართული ენის შესატყვის ახალ ტერმინოლოგიას. ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისადმი ილიას ყურადღება რამდენიმე მიზანს ემსახურება. ახალი სიტყვები შემოიტანოს სასაუბრო თუ საქმიან ურთიერთობაში და ენა გაამდიდროს, განვითარების ახალ დონეზე აიყვანოს; დაიცვას ქართული ენის სიწმინდე, იბრძოლოს უცხო სიტყვების შემოჭრისა და დამკვიდრების წინააღმდეგ („უეზდნი ნაჩალნიკი", „სეკრეტარი", „ნადელი", „პრი-სუტსტვიე", „ნადზორი" და სხვ.), ახალი იურიდიული ტერმინოლოგიის შექმნით ხელი შეუწყოს ეროვნული იურიდიული აზროვნების შემდგომ განვითარებას.

„ბოლოს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის, იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი. ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა, ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული", — აღნიშნავდა ილია „ხიზნების საქმის" მეორე შენიშვნაში. ილიას მიერ ხიზანთა უფლებრივი მდგომარეობისა და საერთოდ ხიზანთა ინსტიტუტის გარკვევის დროს გამოთქმული ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში კონკრეტული საკანონმდებლო აქტებით არ იყო გარკვეული საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებრივი მდგომარეობა, ქართული ენისათვის თითქმის არ იყო ცნობილი მრავალი ცნება, სახელწოდება და შინაარსი ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებების, თანამდებობის პირების, ამ დაწესებულებებში არსებული საქმის წარმოებისა და სხვა.

ილიას და, მასთან ერთად ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებს — აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და სხვებს დიდი ბრძოლა უხდებოდათ ბატონყმური უღლისაგან ფორმალურად განთავისუფლებული ქართველი გლეხის ელემენტარული უფლებრივი მდგომარეობის მოპოვებისათვის.

ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იურიდიული საქმიანობისა და აზროვნების საკითხს, რომლებიც კანონის სათანადო განმარტების, მისი კოდიფიკაციის მოუხდენლად და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოუყენებლად შეუძლებელი იქნებოდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ პირობებში საჭირო იყო ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის არა თუ გამოყენება, არამედ შექმნა, რადგანაც ფაქტიურად იგი არ არსებობდა. ახალი იურიდიული ტერმინოლოგიის შექმნა კი ხდებოდა როგორც უცხო ტერმინების შემოტანით, ისე სასაუბრო ენაში უკვე დამკვიდრებული ცალკეული ტერმინების შეკრებით, დახვეწით, მათი შინაარსის განსაზღვრით. მთელი ტვირთი ამ დიდი შემოქმედებითი მუშაობისა ილიას და მის თანამოაზრეებს დააწვა. განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითი.

სიტყვა „ხიზანი" ქართულ ენაში უძველეს დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ როგორც ახალი შინაარსის შემცველი იურიდიული ტერმინი, იგი პირველად ილიამ შემოიტანა ლიტერატურაში ხიზანთა ინსტიტუტის გარკვევის პროცესში. ხიზანი, საბას განმარტებით, ლტოლვილია, რომელიც „დაერიდა მტერთა და ხიზნა" და სხვას შეაფარა თავი. თითქმის იგივე განმარტებაა მოცემული სხვა ქართულ ლექსიკონებშიც. მაგალითად, ნ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ „ხიზანი სხვაგნით მოსული ანუ ლტოლვილი დედაწულითურთ მტერთან ანუ ხენთა დარიდებით". ქართული ენისათვის, ისტორიულად, სიტყვა ხიზანი უცხო არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ერმა მრავალი არაქართველი დევნილი ტომი თუ ცალკეული პიროვნება შეიხიზნა (XIV-XV საუკუნეებში ოსები და ბერძნები, უფრო გვიან — თურქეთიდან გამოქცეული სომხები და ქურთები, ასირიელები, ებრაელნი და სხვა). საცხოვრებელი ადგილის მიტოვება და გახიზვნა ქართველთა შორისაც არ იყო იშვიათი და სხვადასხვა ტომების თავდასხმისაგან განაწამები ხალხი ზოგჯერ მთელი სოფლით გახიზნული მამა-პაპისგან დამკვიდრებული მიწიდან. ქართველი გლეხი მებატონისაგან თავის დაღწევისა და უკეთესი პირობების ძებნაშიც ხიზანი ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხიზნობას საკმაო გავრცელება და დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, ბატონყმობის გაუქმებამდე მასზე, როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ ინსტიტუტზე, საკითხი არ წამოჭრილა. ბატონყმობის გაუქმების რეფორმის ცხოვრებაში გატარებისას ხიზნების საკითხმა ძალაუნებურად იჩინა თავი, რადგან აუცილებელი იყო გარკვეულიყო ხიზანთა უფლებები იმ მიწებზე, რომლებითაც მანამდე სარგებლობდნენ. ილია ერთადერთი პიროვნებაა, რომელმაც მეცნიერულად დაამუშავა და სრულყოფილად განმარტა ხიზანთა ინსტიტუტის არსი და, აქედან გამომდინარე, ქართულ ენაში არსებული ზოგადი ცნება ხიზნობისა, აქცია კონკრეტულ, სპეციფიკურ ტერმინად. რეფორმის შემდგომ პერიოდში სიტყვა „ხიზანი" გაგებულია ახალი შინაარსით და ლტოლვილ პიროვნებაზე კი არ მიუთითებს, რომელიც იდევნება და თავს აფარებს, არამედ იმ პიროვნებაზე, რომელიც უკვე დამკვიდრებულია და მისი რაიმე დევნა გამორიცხულია. სიტყვა ხიზანს ამ პერიოდში ფაქტიურად დაკარგული აქვს მისი პირველადი მნიშვნელობა და ახსნას წარსულში ლტოლვილი ადამიანის ან მისი შთამომავლობის წარმომადგენლის სხვისი საკუთრების მიწასთან დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, შინაარს იცვლის საერთოდ ხიზნობის ცნება. ილიას განმარტებით ხიზნობა „ერთგვარი მდგომარეობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფლის გლეხისა „მიწის მესაკუთრონებთან". ხიზნობის ცნებაში ილია აგრეთვე ხედავს მიწის ქირავნობის შთამომავლობაზე მემკვიდრეობით გადასვლის უფლებას და იცავს ამ უპირატესობის სამუდამოდ დამკვიდრებას. ილია ცნების დასაბუთებისათვის მიმართავს ვრცელ ისტორიულ ექსკურსებს როგორც საქართველოს ისტორიიდან, ისე ევროპისა და სხვა ცივილიზებული ერების ისტორიიდან, საკითხის სრულყოფისათვის იშველიებს ცნობილი მეცნიერების — იურისტების, ფილოსოფოსებისა და ეკონომისტების ნაშრომებს.

ილია მიწის ქირავნობის ისტორიის მოკლე მიმოხილვით განმარტავს საერთოდ ხიზნობის ინსტიტუტის შინაარსს, საქართველოში მის დამკვიდრებას და განვითარებას და იმ სპეციფიკას, რომლითაც ამ ინსტიტუტს ჩვენში ახასიათებდა, რითაც გამოირჩეოდა სხვა ქვეყნებში არსებული იგივე ინსტიტუტისაგან.

„ხიზნების საქმის" შესახებ გამოკვლევაში მრავალი იურიდიული ტერმინი გვხვდება. ჩვენი აზრით, ილიას მიერ ქართულ ენაში ახლად შემოტანილ ტერმინებად უნდა ჩაითვალოს: „საადგილმამულო", „[illegible]" („аграрный"), „საკომლო მიწა" („надел"), „სოფლობა" („сход"), „სასოფლო თემი" („всесословная волость"), „საკუთრების რჯულდება" („Вид собственности"), „ეკონომიური ცალი" („экономическая единица") და სხვა.

ილია ტერმინებს „ხელისუფლებას" და „მოხელეს" განსაკუთრებულად განმარტავს. მისი გაგებით, „ხელისუფალი" ან „ხელისუფლება" ცალკეულ შემთხვევაში შეესატყვისება რუსულ სიტყვას „исполнительный"-ს, „რაც სახელმწიფოს საერთო ვითარებას არ შეადგენს, — პოულობს ილია, — იგი თვით-მმართველობის უცილო კუთვნილებაა, თვითმმართველობა თავის ადგილის ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეთაური... აქედან ჩანს, რომ თვითმმართველობა, ერთის მხრით, ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით, უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორგანოა".

ტერმინის უფრო ღრმა განმარტებისათვის ილია იქვე სქოლიოში მიუთითებს:

„ხელისუფლება" სწორედ ამ აზრით არის ნახმარები ჩვენს დასტულამაში. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე", თვითონ დასტულამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელს კაცსა საერთოდ „ხელისუფალად" წოდებულნი არიან".

ილიას სხვა პუბლიცისტურ ნაწარმოებებშიც გვხვდება მიწის საკუთრების სხვადასხვა სახეობის გამომხატველი ტერმინები: „ნაფუძარი", „საბლის მამული" და „მამულნი სახელმწიფონი". მათ ილია ხშირად ხმარობს კერძო და საზოგადო მიწათმფლობელობის საკითხების გარკვევის დროს. ახალი ტერმინებია: „სარგებელი სამატისა" („процент роста"), „სარგებელი საფრთხილობელისა" („процент риска"), „გლეხთა მმართველობის საზედამხედველობა" („уездный по крестьянскому вопросу надзор"), „გლეხთა მმართველობის საგუბერნიო ზედამხედველობა" („губернское по крестьянским делам присуствие"), „სამაზრო კრებული გადასახადისა" („уездное податное присуствие"), „მშობლის უფლება" („родительская власть") და სხვა.

ილიას მიერ შემუშავებული იურიდიული ტერმინების ნაწილი ზოგჯერ იმ მიზნით ვერ გავრცელდა, რომ ხალხმა უფრო შესატყვისი სიტყვები გამონახა და შეითვისა. მაგალითად, ბერძნული „არისტოკრატია", რომელიც რუსულში და სხვა ენებზე უცვლელად გადავიდა, ილიამ „დიდკაცობად" თარგმნა, რუსული „канцелярские пошлины" „სამწერლო მაკლებად", „состояшие в запасе" „შინ დათხოვილ ჯარისკაცად შერიცხულებად". რუსული „право"-ს გამომხატველი გავრცელებული „სამართლის" ნაცვლად იხმარა „მართლიერება", „მონაწილეობის" ნაცვლად — „წილზედ-ყოფა". რუსული „соперник"-ის „соперничество"-ს ქართულად გავრცელებული „მეტოქის", „მეტოქეობის" ნაცვლად იხმარა „ცილება", „ეკონომიურ მოღვაწეობაში ცილება" და სხვა. ზოგჯერ თავის მიერ შემუშავებული ზოგიერთი ტერმინი, როგორც ეტყობა, ილიამ თვითონვე უარყო. უფრო გვიანდელ ნაწარმოებებში ისინი სახეშეცვლილად გვხვდება.

ილია ჭავჭავაძის იურიდიული ტერმინოლოგიის მოკლე მიმოხილვა ნათლად წარმოადგენს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ლექსიკური მარაგის თანამედროვე მდგომარეობის გარკვევისათვის ჩვენი კლასიკოსების მიერ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შექმნის და პოპულარიზაციის საკითხს. სამწუხაროდ, ამას ლექსიკონების თუ ტერმინოლოგიის შექმნაზე მომუშავე ყველა მეცნიერი როდი ითვალისწინებს. დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტებმა გამოსცეს იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ნაწილი, რომელშიც ილია ჭავჭავაძის იურიდიული ტერმინები გათვალისწინებული არ არის, რაც ამ სოლიდურ ნაშრომის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ვახტანგ ქვანია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ადამიანი — კოსმოსის სუნთქვა

რევაზ ვეკუა

რომ შევეჭიდეთ წამებთან ჭიდილს,
სხვა სურნელება მოჰყვება წამებს,
გუშინ უშორეს ფართო გზებს ვჭრიდით,
ხვალ ამ გზით ჩვენი ბავშვები წავლენ.
მიწას ეცვება კოსმოსის ჩრდილი,
კარს გვიღებს მთვარე — ღამის ასული,
გუშინ ამ გზებზე ბავშვივით ჩვილი
დღეს ასე ძლიერ როგორ დავსრულდით?!
ზღვის გაღმა ისევ [illegible] შემღილით,
ბრძოლის წყურვილით კბილების ღრჭიალს,
მაგრამ იმდენი ძალაა მზეში,
მაგრამ იმდენი ძალაა ჩემში,
ქვეყნად იმდენი გვყავს მეგობარი,
მზეზე ძლიერი სხივებით ბრწყინავს,
ადამიანი — კოსმოსის სუნთქვა.
დღეს ცად ისეთი ხმით იცინიან,
ცა კრთება ღრუბლებგადახსნილი,
იქ სადაც სულ სხვა სამზადისია
და მომავალი არის მაყარი,
და შენი შვილი არის მაყარი,
და ჩემი შვილი არის მაყარი,
ადამიანი — კოსმოსის სუნთქვა.
რომ შევეჭიდეთ წამებთან ჭიდილს,
სხვა სურნელება მოჰყვება წამებს,
გუშინ უშორეს ფართო გზებს ვჭრიდით,
ხვალ ამ გზით ჩვენი ბავშვები წავლენ.

ასანური

ბერდია ბერიაშვილი

ისევ ვნახე ჩემი მთა და ჩემი ხევი
და სოფელი ყრმობასავით სათაყვანო.
დედასავით მინდა ყელზე მოვეხვიო,
როგორც ბავშვი მინდა ხელში აგიყვანო.
მისი ყველა ხე და ბუჩქი კარგად ვიცი,
მაგრამ მინდა კვლავ ვეწვიო, კვლავ ვნახო
ასანური, — ჩემთვის ასჯერ დასაფიცი,
ხარ-ირმისთვის ერთი ღილის საბალახო.
ასანური — მინდა ასჯერ ჩავემუხლო
ყველა ხესთან, ყველა სახლთან, ყველა კართან,
სიყვარულმა დამიმუნჯა, მოველ უხმოდ,
შემიფარებს, ვიცი, მისი მწვანე კალთა.
ჩემს თვალებში გათენდება მისი დილა,
სურასავით გამიშლება მისი ახო.
დილაა და პაწაწინა გამაცილა,
დილაა და მზეს გაზრდილი დავენახო.
ალუბლების შეფაკლული ლოყა უნახს,
მის სუნთქვას ნუ დავარღვევთ, ძმაო ნიავს.
ვერ დავტოვებ, მისი მიწა ერთი მუჭა
მთების რაა, ოქროს მთებსაც მირჩევნია.
მისი ყველა ხე და ბუჩქი კარგად ვიცი,
მაგრამ მინდა კვლავ ვეწვიო, კვლავ ვნახო
ასანური, — ჩემთვის ასჯერ დასაფიცი,
ხარ-ირმისთვის ერთი ღილის საბალახო.

„მშვიდობის სადარაჯოზე"

ციმბირელი პაპა.
მოქანდაკე შ. მიქატაძე.

მირზა გელოვანი.
მოქანდაკე ბ. ავალიშვილი.

განწყობილების მხატვარი

ნაცრისფერთვალება ბაფთიანმა გოგონამ მორიდებით შეაღო ა. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის კარი, სადაც ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობდა. მას ხელში რამდენიმე ალბომი და საქაღალდე ეჭირა, რომლებშიაც საგულდაგულოდ იყო ჩაწყობილი მინიატურული ზომის სურათები. ეს თეონა ასიტაშვილი იყო. მან ხატვა იმ დროიდან დაიწყო, როცა ფანქრის ხელში დაჭერა ისწავლა და ჯერ კიდევ 1940 წელს 7 წლის გოგონას განსახკომის მიერ მოწყობილ გამოფენაზე პირველი პრემია მიენიჭა.

ამის შემდეგ იგი ბევრს ხატავდა. წარმატებით წახალისებული კვლავ განუწყვეტლივ მუშაობდა, უნდოდა შეემოწმებინა თავისი შესაძლებლობა. და აი, 1946, 1947 და შემდეგ წლებში გამოფენებზე თეონა ასიტაშვილის ნამუშევრებს კვლავ წარმატება ხვდა წილად. ტუშითა და აქვარელით შესრულებულ მინიატურულ ნაწარმოებებს მაყურებელი და პრესა გულთბილად შეხვდა. პატარა მხატვარს მაშინვე ეტყობოდა მახვილი თვალი და კარგი გემოვნება. მისი აქვარელი ლამაზი და გამჭვირვალე იყო, შუქ-ჩრდილი—რბილი. მიუხედავად სურათების მეტად მცირე ზომებისა, მათში მშვენივრად იყო მოცემული სივრცე, პერსპექტივა. ნახატი ძუნწი ხაზებით იყო შესრულებული. მის პეიზაჟებში ყოველთვის ჩანდა მზიური საქართველოს ცხოველმყოფელი სურათები.

გავიდა წლები. თეონა ასიტაშვილი ამთავრებს საშუალო სასწავლებელს, პარალელურად ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობს, ხოლო შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში აგრძელებს სწავლას (პროფ. ი. შარლემანის კლასი).

1957 წელს ამთავრებს აკადემიას და მუშაობას იწყებს გამომცემლობებში წიგნების ილუსტრაციებზე. მისი გაფორმებით გამოცემულია ი. კრილოვის იგავ-არაკები, ვოინიჩის „კრაზანა" და მრავალი სხვა. ახალგაზრდა მხატვარი ქალი მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენებში; თავისი შემოქმედების თემატიკის გასამდიდრებლად ბევრს მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მას ერთნაირად აინტერესებს ჩვენი ბარი და მთიანეთი. ეს მოგზაურობა თემატიკურად ამდიდრებს მხატვრის შემოქმედებას, მისი პალიტრაც უფრო მრავალფეროვანი ხდება.

1960 წელს, თ. ასიტაშვილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრება. ქ. დრეზდენში ცხოვრობს, ეცნობა მისთვის ახალ ქვეყანას, ხალხს, ახალ ქალაქებს, ხედებს, სწავლობს მსოფლიო კულტურის საგანძურს — დრეზდენის გალერეის შედევრებს და იქვე მუშაობას იწყებს მხატვარ-რესტავრატორად. აქ იგი მუშაობს ცნობილ რესტავრატორ ჰენრიხ შვაგაროსის ხელმძღვანელობით. მოზღვავებულ შთაბეჭდილებებს მხატვარი ანდობს ქაღალდს, მუყაოს და ფუნჯს.


ბავშვის პორტრეტი.

• • •


დრეზდენის ქუჩა.

• • •

სწორედ ამ წლების შემოქმედებითი ანგარიშია ის გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. გამოფენაზე ექსპონირებულია მხატვრის პეიზაჟები, სიუჟეტური სურათები, ნატურმორტები და პორტრეტები, რომლებიც შესრულებულია აქვარელით, პასტელით, ტემპერით, სანთლის საღებავებით, მონოტიპიით. ექსპონირებულ ნაწარმოებებში ჩანს მხატვარ-პროფესიონალის საკუთარი ხელწერა. თ. ასიტაშვილის პეიზაჟები, — ბუნების ხედებია თუ არქიტექტურული პეიზაჟები — დიდი განწყობილებით არის დახატული. ასეთებია: „დრეზდენის გარეუბანი", „საქსონიის შვეიცარია", „ქალაქი გორლიცი", „მოღრუბლული დღე", „ზამთარი", „ღრუბლიანი დღე", „ხეები" და სხვა. ნახატი, როგორც ყოველთვის, ლაკონურია და მსუბუქი, ფერები ნაზია და ხავერდოვანი.

ნატურმორტებში მხატვარი თავისებურად სწყვეტს როგორც კომპოზიციის აგების ხერხებს, ისე ფერთა შეხამებებსაც.


ნატურმორტი.

თეონა ასიტაშვილს მარტო ბუნების ხედები და ნატურმორტები კი არ აინტერესებს, არამედ ამ ქვეყნის ხალხი თავისი ყოფაცხოვრებით და ჩვეულებებით. გამოფენაზე ყველაზე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი კარნავალის თემა, სადაც მხატვარს საშუალება აქვს გადმოგვცეს მასობრივი სცენები მრავალფეროვანი ტიპაჟით და მდიდარი კოლორიტით.

მხატვარს საკმაოდ უმუშავნია პორტრეტულ ჟანრშიც. სახვითი ხელოვნების ეს სახეობა, პეიზაჟებთან, ნატურმორტებთან და სიუჟეტურ სურათებთან შედარებით, მხატვრისათვის ახალია. მიუხედავად ამისა, თ. ასიტაშვილმა შეძლო გაეგო და გამოფენაზე ექსპონირებული პორტრეტებით: „ქალიშვილის პორტრეტით", „გოგონას პორტრეტით", „ბალერინას პორტრეტით", „მეშახტის პორტრეტით" და სხვებით გადმოეცა ამ ადამიანთა შინაგანი სამყარო, გამოევლინებინა მათი შინაგანი ბუნება, ხასიათი, რისთვისაც კარგად არჩევს შესაფერ პოზას, განათებას, მიმიკასა და სხვა.

მხატვარი ერთნაირად ძლიერია როგორც დიდ, ისე მინიატურული ზომის სურათებში.

სამშობლოდან წასულ მხატვარს შორეულ ქვეყანაში მოგონებებით შეუქმნია საინტერესო ნაწარმოებები. ესენია „სამხედრო გზა", „მთები და ხეები", „ზამთარი" და სხვ. ამ სურათებში სიყვარულით არის გადმოცემული სამშობლოს ყოველი შტრიხი. ფუნჯის ყოველი მონასმი იშვიათად სათუთია, მათში ნაზი მოზღვავებული გრძნობაა ჩაქსოვილი.

თეონა ასიტაშვილი განწყობილების მხატვარია და მას ჰყოფნის ძალა მაყურებელსაც გადასცეს ეს განწყობილება.

ირინე უზნაძე

„ნიჭიერი"

სოსო იორამაშვილი

ადრე რომ ყურებდაცქვეტილი უსმენდა ხოლმე ზაური დათას, ამ ბოლო დროს უკვე ალმაცერად უყურებს. ერთხელ ასეთი რამეც კი შეეკადრა:

— ძია დათა, თქვენ რომ კაცმა ყური გიგდოთ, თითქოს უწინ ჭალები ნადირ-ფრინველითა ყოფილა გატენილი და მდინარეები— თევზით.

— ოი, აქედან სახლში ცოცხალი ნუ წავიდე, თუ მართლა ეგრე არა ყოფილიყო. მოსატყუარი აბა შენთან რა მაქვს, — უპასუხა დათამ.

— მაშ, ახლა სადღაა? ჩემს ჯიბრზე გაწყდა?

— იმდენი მეც ვიცოცხლე, ზაურ, და მენაც, რამდენჯერაც მდინარე ხრამში ბანაობის დროს თევზი ხელით დამიჭერია. გინდა [illegible] გინდა ნუ, წყალში რომ უბრალო კალათი ამოგეყვა, თევზი ამოჰყვებოდა. ფრინველსა და ნადირს ხომ ნუღარ იტყვი. წითელი ხიდიდან დაწყებული, არახლის ხიდამდე სულ ხოხბითა და გნოლით იყო ჭალა სავსე. კურდღელსა და მელასაც კაცი ფეხს ვერ აუქცევდა. შულავერის ქვემოთ კი, წითელ ხიდამდე ღორიც ბევრი იყო, თორემ აგერ ჰკითხეთ. — და ყველაფერზე მე მიმოწმებდა.

ზაური ახლა მე გადმომხედავდა, უნდოდა დათას ნათქვამი შემეოწმებინა.

მეც მეტწილად ვეთანხმებოდი დათას, მაგრამ ის დალოცვილი ზოგჯერ ნამეტანს გადაუჭარბებდა ხოლმე და მაშინ კი სიცილს ძლივს ვიკავებდი. ასეთ დროს ლაპარაკი განზრახ სხვა საგანზე გადამქონდა, არ მინდოდა რომ მათ შორის საბოლოოდ გაერბინა შავ კატას.

როცა დამშვიდდებოდა ზაური, ცოტახანს იყურებდა და მერე იტყოდა ხოლმე. — ნეტავი თქვენა, რომ ასეთი სანადირო ადგილები გქონიათო.

მერე დაიწყებდა მიზეზების ძებნას და ბოლოს ბრაკონიერებს მიადგებოდა.

— დასახოცია ნამდვილად. ვინც იმათ დაინდობს, ისიც მოსაკლავია.

— თუ მართლა ეგრე გეწყინა გული, ბრაკონიერების დასჯას სხვისაგან ნუღა ელოდები. — უთხრა ერთხელ დათამ.

— სხვისაგან რატომ? თუ ხელში ჩამივარდა, იცოცხლე მე იმას დღეს დავაყენებ.

— ეგეთი კაცი ხელში არ ჩაგივარდება, შენ თვითონ უნდა ჩაიგდო.

— როგორ?

— როგორ და ისე...

— მაინც როგორ!

— ბიჭო, ამას რა მიხვედრა უნდა? ჩასაფრდი მაგნაირ კაცს და დაიჭირე.

— არა, ძია დათა, ეგრე როგორ იქნება? თუ წინდაწინ არ იცი, სად და ვის უნდა ჩაუსაფრდე? ყველას ხომ არ დაუწყებ დევნას.

— რად გინდა წინდაწინ ცნობა. შენ სანადირო-სათევზაო ადგილებს უვლე ეგრე და ბრაკონიერი იქ თვითონ მოვა.

— როგორ?

— ეჰ, კიდევ დაიწყე თავისებურად: — „როგორ და რატომ". — წამო აქა. — მოჰკიდა ხელი დათამ, ეკალბარდებს შორის მრავალ ბილიკით მდინარე ხრამის ნაპირზე ერთ მორევისებურ ყურესთან მიიყვანა. — ამას უყურებ?

— ვუყურებ, რაო მერე?

— რაო და ამ ყურეში წლეულს ერთი ხუთჯერ მაინც ჩაყრიან ქლორს ის შენი ბრაკონიერები და თუ ბიჭი ხარ, დაადექ თავზე.

— მე მეგონა მართლა რამეს მეუბნებოდა. როდის მოვლენ აქ, ვინ იცის? მთელ წელიწადს აქ ხომ არ ვუცარაულებ?

— რათა მთელ წელიწადს? შენ ერთი ათიოდე დღით მოიცადე. საღამოობით წამოვიდეთ ხოლმე შენი მანქანით და მაშინ ვნახოთ. თუ ისინი არ დაგაჭერინო, ეს ულვაში მომპარსე.

— მაშ ასე, გადაწყვეტილია. მოვდივართ. როდის დავიწყოთ? — ეხლა მკითხა დათამ.

დავთქვით დღე. დათამ საქართველოს თევზის სამეურნეოში შეიარა და საგანგებო ნებართვა გამოართვა, რომ ხელი არავის შეეშალა.

დათქმულ დღეს ღამის ათ საათზე ზაურმა და დათამ მანქანით გამომიარეს. ზაურს თან ერთი თავისი მეგობარი წამოეყვანა.

არც კი შეგვწუხდა მეოთხე კაცის წამოსვლა. ჯერ ერთი, მანქანაში თავისუფალი ადგილი გვქონდა და მეორე, — ზაურის მეგობარი რეზო ხელღონიერი ბიჭი ჩანდა და, რაკი ისეთ საშიშარ საქმეზე მივდიოდით, ვინ იცის როგორ გამოგვადგებოდა.

ახალგაზრდები წინ, საჭესთან დასხდნენ. მე და დათა უკან მოვთავსდით და დავიძარით. ძალიან ენამოსწრებული ბიჭი გამოდგა რეზო. გზაზე ბევრი რამ საინტერესო გვიამბო და ისე ჩავედით ხრამის ნაპირებზე, რომ არც კი გაგვიგია.

ბუნება დადუმებულიყო. მხოლოდ მდინარე ხრამი თითქოს ნაპირზე შემორჩენილ ჭალაში რაღაცას ეჩურჩულებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო ისეთ წყნარ და მშვიდ ღამეში თუ ადამიანი ბოროტებაზე ფიქრობდა...

უცებ, ჩვენს ზემოთ ეკალბარდებიდან ერთი შუქჩამქრალი მანქანა [illegible]. მერე იქვე მახლობელ მაყვლის დიდ ბუჩქებში შევიდა და შეჩერდა.

დათამ ხელით დაგვწია და გვანიშნა, დავწოლილიყავით. მისი მითითება უყოყმანოდ შევასრულეთ, მერე თვითონ ჭალისკენ გაფრთხა და გვანიშნა, ჩვენც მას მივყოლოდით. როცა ბარდებს მივუახლოვდით, ჩურჩულით გვითხრა:

— ეს მანქანა აქ კაიკაცობისათვის არ არის მოსული. თვალი გეჭიროთ, რას გააკეთებენ, მზად იყავით.

ზაური მანქანის საჭესთან დასვა და გააფრთხილა — შეიძლება დადევნება იყოს საჭირო.

ათიოდე წუთის შემდეგ მართლაც მაყვლის ბარდებიდან ოთხი კაცი გამოვიდა. ყურისაკენ ფეხაკრეფით წამოვიდნენ, ყოველი მათგანი რაღაც ტვირთს მიათრევდა.

ორმა მათგანმა მდინარიდან ყურეში შემოსასვლელი ყელი გადაკეტა და პალოებით დაამაგრა. ამ დროს დანარჩენმა ორმა, ყურეს დასაწყისში, სადაც [illegible] ძირიდან წყაროები გამოდიოდა, ტომარა მიათრია.

— ხო გითხარით, ქლორსა ყრიან, — წამოიჩურჩულა დათამ და წამოდგომა დააპირა, მაგრამ რეზომ შეაჩერა...

— მოიცა, მოიცა, ძია დათა, ბარემ ჩაყარონ, რომ თავი ვეღარაფრით იმართლონ.

— რას ამბობ, კაცო?— ეს უკვე ხმამაღლა წამოიძახა და მერე მათ შეუძახა:

— ხელები მაღლა, თორემ გესვრით!

ამის თქმა მოასწრო დათამ და ჩვენც წამოვიშალეთ, რომ ღამის მებადურები ლანდებივით გაქრნენ. ალბათ იფიქრეს, ისე გიჟები როგორ იქნებიან, რომ თევზის გულისათვის გვესროლონო, და თავს გაქცევით უშველეს. ერთი რამ კი საკვირველი იყო:

ბარდებში შემალული მანქანა მიატოვეს და თვითონ მიიმალნენ. მართალია, მანქანას ნომერი არა ჰქონდა, მაგრამ, როცა საჭიროა, ფოლაქის პატრონსაც პოულობენ ხოლმე და მანქანის პატრონი ხომ ვერ დაიმალებოდა, როგორც ეტყობოდა, იფიქრეს, ჩვენ მალე წავიდოდით და მანქანას მერე მოაკითხავდნენ.

თოფებმომარჯვებულები მაყვლის ბარდებს მივადექით და არც თუ ისე ძალიან დამალული მანქანა პირველი გამოხედვისთანავე კარგად დაფარებული „მოსკვიჩი" აღმოჩნდა. მერე ქლორის ტომარას ვეცით და მდინარეზე გადავიტანეთ, იმდენად ტომრის წყალში ჩაცლა ვეღარ მოესწროთ.

განთიადი უკვე მოტანებული იყო, გადავწყვიტეთ, დილამდე იქ დავრჩენილიყავით და რამე გვეღონა. იქნებ იქვე ახლო-მახლო მცხოვრებთა მანქანა ეცნოთ და ბოროტმოქმედებისათვის მიეგნეთ. მაგრამ გათენდა დილა და ისეთ შარს გადავეყარეთ, რასაც სულ ვერ წარმოვიდგენდით.

ინათლა თუ არა, გაღმიდან ერთი, ცალლულიანი თოფით შეიარაღებული ცხენოსანი გამოჩნდა. წყალში გამოტოპა და პირდაპირ თავს დაგვადგა. ქლორიანი ტომარა რომ დაინახა, თავისი თავი გაგვაცნო, — თევზდაცვის ინსპექტორი ვარო და ოქმის შედგენა მოგვიწერა.

— ი, აგანგალა, განგალა. რა კარგია, ჩვენ მთელი კვირა დავდევთ ბრაკონიერებს, ძლივს დავიჭირეთ და ახლა სხვამ უნდა მოითბოს ხელი ჩვენი გაკეთებული საქმით. ამას ვინა ჩივის, ბრაკონიერებადაც გამოგვიყვანს. — თქვა ზაურმა ყველას გასაგონად.

— თუ დაიჭირე, აბა სად არის? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— საქმეც ეგ არის, რომ ისინი გაგვექცნენ.

— მე არ ვიცი.

ზაურმა იგი ბრაკონიერების „მოსკვიჩთან" მიიყვანა. — ხედავ ამას? აი ამისმა პატრონებმა მოიტანეს ქლორი და, ჩვენ რომ დაგვინახეს, გაიქცნენ. იცი ვისია ეს მანქანა?

ინსპექტორმა თვალები დააჭყიტა [illegible] მანქანას და ცოტა მოფიქრებით თქვა:

— არ ვიცი.

— აბა მაშ რაღა იცი? ეს მანქანა ხომ ამ ჭალებში გლეჯინით არის გაცვეთილი. ნუთუ ერთხელ მაინც არ გინახავს?

— არ ვიცი.

— არ იცი და მოუსვი აქედან. ოქმის შედგენაც რო ნებავს ვაჟბატონს!

— დაიხსენ ზაურ, ეგრე არ შეიძლება. შეადგინოს ოქმი, მერე რა, მაგის საქმე ეგ არის. —უთხრა დათამ.

— მაგის საქმე ის არის, ბრაკონიერები დაიჭიროს და იმათ შეუდგინოს ოქმი, მე კი არა.

— აბა მაგან რა იცის ჩვენ ვინა ვართ, შუბლზე ხომ არ გვაწერია?

— შუბლზე კი არა, მაგოდენა მანდატი რომ გაამანშხალებინე თავმჯდომარეს, იმაზე სწერია. აჩვენე და მოაშორე აქედან, თორემ მე მაგას კაი ოქმს შევადგენინებ. გინდა დაგენაძლევო, რომ ეს იმ ბრაკონიერების მოგზავნილი, ან ერთ-ერთი მათგანი იყოს.

— ოოჰ, უცნაურს იტყვი ხოლმე რაღაცას, — ეს როგორ შეიძლება? — უთხრა დათამ.

— ისე შეიძლება, რომ კარგად. შენ მაგათ ვერ იცნობ.

ოქმი რომ არ შევადგენინეთ, ინსპექტორმა [illegible] წვალება მოინდომა, მაგრამ არ გავატანეთ. ბოლოს მუქარით ჩვენი მანქანის ნომერი ჩაიწერა და წავიდა.

ჩვენს იღბლად რეზოს მანქანის მართვა ხელეწიფებოდა. დავსვით ბრაკონიერების „მოსკვიჩზე" და ისეთი ფათქა-ფუთქი ატეხა, რომ იქაურობა გააყრუა.

— ვაი მენდა ოხრად დარჩენა. ქვეყანას შევაყვირებ. მაგითი თბილისში არც კი შეგვიშვებენ. — თქვა ზაურმა და მანქანები დავძარით.

სანამ დიდ გზაზე გამოვიდოდით ქალაქიდან, იქ ერთ ალაგას არხზე პატარა ბოგირი გვქონდა გამოსასვლელი. საღამოთი რომ შევედით ჭალაში, ბოგირი წესიერ მდგომარეობაში იყო, ამ დილით კი ფიცრები ვიღაცას აეგლიჯა და იქვე ეყარა.

მანქანები აშლილ ბოგირთან შევაჩერეთ. ზაური გადმოვიდა და, ფიცრების დალაგებას აპირებდა, რომ ჭალიდან ორი შეიარაღებული კაცი გამოვიდა და თავს დაგვადგა.

— აბა, თუ გინდათ რომ მშვიდობით წახვიდეთ აქედან, ჩვენი მანქანა დაგვიტოვეთ და წადით, თუ არა და მაშინ თქვენი მანქანაც აქ დაგრჩებათ. — გვითხრა ერთმა შუახნის ჯმუხმა კაცმა.

ზაურს ამ მუქარისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ბოგირის ფიცარს დასწვდა ასაწყობად და გულგრილად უპასუხა:

— მოდი ნუ მაშინებ, თუ ძმა ხარ, ისედაც [illegible] ვარ შეშინებული და ფერზე ვეღარ მოვდივარ. სასიკვდილოდ დამიწყებს.

ეტყობოდა ჯმუხა ასეთ პასუხს არ მოელოდა. გაკვირვებულმა თავის თანამზრახველს გადახედა და ისევ ზაურს მიუბრუნდა:

— [illegible], ხუმრობა კარგი გცოდნია, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის.

— ჰოო? მაშ როცა დრო იყოს, შემატყობინე თბილისში, ჩამოვალ და ვიხუმროთ.— მიუგო ზაურმა ისევ მშვიდად.

ჩემს გვერდზე მჯდომმა დათამ მე გადმომხედა, გაღიმებულმა ჩამიკრა თვალი და თქვა:

— ვაჰ, შენ გენაცვალე ზაურ, შენა. ამის შემდეგ რაც უნდა მაწყენინო, ყველაფერს გაპატიებ.

— ახალგაზრდა, მე შენ საქმეზე გელაპარაკები, კი არა ვხუმრობ. — მიმართა შეკავებული ბრაზით ჯმუხმა. — ჩვენ ეხლა რაში გვჭირდება სასამართლო. ჩვენ თვითონ [illegible], აქ ბალახს ხომ არა ვძოვთ, ხალხი ვართ, ძმურად, ტკბილად. რაც დამეკისრება, ყაბულსა ვარ, ისე, რომ მერე თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის.

სანადიროდ რომ დავდივარ, ყოველთვის ფოტო აპარატი დამაქვს თან. თუ რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება, უსათუოდ ვიღებ სურათს.

შეუმჩნევლად შევურჩიე დრო, ობიექტივი ფოტოაპარატში ისე მოვაქციე, რომ დათასაც არ გაუგია, რადგან ის უკვე გადავიდა და ზაურის მხარი გაუმაგრა ჯმუხასთან მოლაპარაკებაში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მოლაპარაკებას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია და მთავარი საკითხი ისევ ღია დარჩა — მათ ვინაობა და სადაურობა ვერ ვათქმევინეთ.

— ახლა, კაცმა რო თქვას, ჩემი გვარი თქვენ რათ გინდათ? ადამიანი ვარ, ხომ ხედავთ, ჩვეულებრივი ადამიანი. მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვის შეხვდება. ხომ გაგიგონიათ. ჰო და ვინ იცის სად შევხვდეთ ერთმანეთს. მეც კაცი ვარ, ვალში არ დაგრჩებით. ჩემი მისამართი რომ მოგცეთ [illegible]. ხვალ, ზეგ, [illegible] და ვირების აბანოში გამომისტუმრებენ, მორჩა და გათავდა. ამით თქვენ რა უნდა მოგეგებოთ?

— ჩვენ ის შეგვემატება, რომ მდინარეში თევზი ისევ მომრავლდება, — უთხრა ზაურმა.

ჯმუხას გაეცინა და უთხრა:

— ვაა, კაი ბიჭია გავხარ და ეგ გაწუხებს? თევზია რაღა, დღეს დაიჭერ, ხვალ ისევ ამოვა ზღვიდან, შენ გამოლევ?

— ძნელია ასეთ გულგამოცლილ ხალხთან ლაპარაკი. — თქვა დათამ, როცა იმ ბანდიტებს დავცილდით. მაგრამ რა გინდა უყო? აი, ახლაც ბოროტმოქმედებაზე წაგვასწარით და რა გამოვიდა? სდიე მინდორში ქარს. გვარი არ იცი კაცისა და მისამართი.

— მანქანა და ბადე არ უნდა მიგვეცა და იმებით ყველას მისამართს ვიპოვნიდით. — თქვა ზაურმა.

— ჰმ, ადვილი სათქმელია, არ უნდა მიგვეცა. შენ იცი, რომ ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ეს იყო. თორემ იარაღს იხმარდნენ. გინდა ავი ძაღლისათვის ძვალი წაგვერთმევინა პირიდან და გინდა მაგნაირი ხალხისათვის ასეთი ნივთი, რომელიც ამხილებს მაგათ ბრაკონიერობას. — უთხრა დათამ.

თბილისში რომ ჩამოვედით, იმ დღესვე ყველაფერი ვუამბეთ სადაც საჭირო იყო. მაგრამ იმათაც ჩვენ გაგვამტყუნეს. — მანქანა არ უნდა გაგეტანებინათო.

უცებ გამახსენდა, სურათი რომ გადავუღე და ვუთხარი — იქნება იმ სურათით ამოიცნოთ მეთქი.

ეს რომ გაიგონა ერთმა მათგანმა, სიხარულით თვალები დააჭყიტა და მითხრა:

— მე კაი კაცო, დაგვიჭერია და ეგ არის. თუ კი სურათი გადაუღე, ვითომ ყველა ბრაკონიერები აქ ჩამოგვიყვანია თავიანთი მანქანით.

როცა სურათს დახედა, გახარებულმა წამოიძახა:

— ვაჰ, ამას ვინ არ იცნობს? — „ნიჭიერი".

— როგორ ნიჭიერი? — ჰკითხა გაკვირვებულმა დათამ.

— „ნიჭიერი" შერქმეული სახელია.

ერთი კვირის შემდეგ კი იგივე მაიორი დინამოს სტადიონზე შემხვდა და კმაყოფილმა მითხრა:

— „ნიჭიერი" დააპატიმრეს. პირველად სასტიკ უარზე იდგა. — რას ამბობთ, მაგნაირ საშიშარ საქმეებზე რა ხანია ხელი ავიღე და პატიოსნად უნდა ვიცხოვრო. — მაგრამ ფოტო სურათი რომ აჩვენეს, გაშრა.

— ვაჰ, საიდან? ხელში აპარატი არა გეჭირათ და როგორ გადამიღეთ.

— ამ ცოტახანში ალბათ მისი სასამართლო დაინიშნება და შეიძლება თქვენც დაგიბარონ, როგორც ფოტომამხილებელს.

„ილიჩის მეგობარი მიხა"

საკავშირო ეკრანზე

ცნობილმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა შალვა ჩაგუნავამ ა. დუბინსკის სცენარის მიხედვით შექმნა ფილმი „ილიჩის მეგობარი მიხა" (ოპერატორი ო. დეკანოსიძე). ფილმი გადაღებულია საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიაში.

ფილმში კარგად არის გადმოცემული რევოლუციის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და მიხა ცხაკაიას მეგობრობა. ფილმში მაყურებელი გაეცნობა ვ. ი. ლენინის დეპეშას მ. ცხაკაიასადმი 1917 წლის თებერვალში, რომელშიც რევოლუციის ბელადი სწერდა „ძვირფასო მიხა, ახლოვდება... გაიღვიძე... გილოცავ რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში... მაშ მივდივართ? თქვენი ლენინი." იქვე წარმოდგენილია რსდმპ ლონდონის მე-3 ყრილობის ამსახველი კინოკადრები, სადაც მიხა ცხაკაია ბარსოვის გვარით გამოდიოდა.

ამ დღეებში „ილიჩის მეგობარი მიხა" აჩვენეს კინოს ცენტრალურ სახლში, სადაც საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

სსრკ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა „ილიჩის მეგობარი მიხა" მიიღო საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად. ჩვენი ქვეყნის მაყურებლები მას აპრილში ნახავენ.

ს. რიჟინაშვილი
მოსკოვი.

კოლხური მელოდიები

ხუტა ბერულავა

აპრილს უყვარს

აპრილს უყვარს ია ლურჯი,
მაისს — წვიმა წანწკარა,
კლდეს—მდინარის შეძახილი,
ჯეჯილს—წყარო ანკარა,
ქალის — სტვენა ბულბულისა,
ტყის შრიალში ჩართული,
მე ყველაფერს მირჩევნია
ჩვენი ტკბილი ქართული!

არ წკრიალებს

მე სიცოცხლე ჩალად მიღირს,
როცა თვალით ვერსად გხედავ
და ჭიშკართან უხმოდ მდგარი
დაძახებას ვერა ვბედავ.

მე სიცოცხლე არ მახარებს,
მავიწყდება სალოცავი,
როცა შენი ხმა ღვთიური
არ წკრიალებს წყაროსავით!

ჩემი პირიმზე

ჩემს პირიმზეს თუ იკითხავ,
ჩუმად გეტყვი, მახარია:
არც ძალიან დაგვალული,
არც ძალიან მაღალია.

მისი შუქით ავსებულა
გული ჩემი, ნაისრალი...
თუმცა სახელს ვერ გაგიმხელ,
სწორედ თქვენი მხარის არი!

ქალვაჟიანი

— მე ალმასის წმინდა თვალო,
გავითვალე შენი მზერით...
ვინ დაფეთფლე უმოწყალოდ,
ვინ გახადე ბედნიერი?
თუ არა ხარ ბედნიერი,
დაგიდგები შუამავლად.
ჩემს თავს მაინც მოგიძებნი,
უკეთესთან თუ არ წავალ!

— მე ისეთი ბიჭი მინდა,
მოისარი, მონადირე,
შუა ზღვაში შედიოდეს
და იჭერდეს ცოცხლად ირემს,
შუა ტყეში შედიოდეს
და იჭერდეს კალმახს ხელით;
ცაში რაშით დაფრინავდეს
ლომგული და თვალნათელი!

— ზღვის ერთ ნაპირს ფეხს
დავაჭერ,
რომ ვარცლივით გადაბრუნდეს.
უშბას მხრებით ჩამოვიტან,
შენს ეზოში დავაყუდებ.
გუთნეულში ხარს შევაბამ,
ხარირემს და არა ნიშას.
აგიშენებ ცაში კოშკებს,
ჩემი ერთგულების ნიშნად.

— ბედმა მოგცეს შენი წილი,
როგორც დილის ნამი ყანებს,
უშენობით დამწვარი ვარ,
მოფრინდი და წამიყვანე!
მხოლოდ შენთვის მშობა დედამ,
შენი სწორი, შენი ფერი,
თავსასთუმლად მომეც მკლავი
და გავხდები ბედნიერი!

ძველი ჩონგურული

ჰე, ჩონგურო, ახლა დროა
გითხრა ჩემი გაჭირვება,
თუმცა შენ რა შეგიძლია:
შენ ვინ მოგცა განსჯის ნება...

უბედური ჩემი თავი!
ჩემი შემწე არვინ არი,
ჩემთან მოდის ყოველგვარი
სიავე და სატკივარი.

რა ვარსკვლავზე დავიბადე!
შემაკვეცა ბედმა ფრთები,
არც სიკვდილი მეკარება,
არც სიცოცხლეს ვებრალები.

ცხრა წელია არ ჩამიცვამს,—
შემიჭამა ჩრჩილმა ჩოხა.
ცხრა წელია, არა წყდება
ჩემი მწარე გმინვა-ოხვრა.

ამ ცასა და მიწას შუა
სულიერი არვინ დადის,
რომ გაიგოს და გაიყოს
ჩემისთანა კაცის დარდი.

თვით ბუნებაც უძლურია
მომეშველოს, გამახაროს,
ან მალამო მომაწვდინოს,
ანდა მიწა დამაყაროს.

ჰე, ჩონგურო, შენღა გესმის
ყველა ჩემი გაჭირვება,
მაგრამ შენ რა შეგიძლია,
შენ ვინ მოგცა განსჯის ნება!

კოლხური ნანა

ნანა, იავ, ნანა, ვარდო,
ნანას ჰქირიმე.
სიხარულით ვინამები,
განა ვტირი მე.
გარეთ ფეთქავს გაზაფხული
და საამოდ ცრის.
შენს თვალებში ნათელია
მშობლიური ცის.
შენი ბედიც ნათელია
და მომავლის გზაც,
შენი მიწა და კერია
არ დაუთმო სხვას.
არასოდეს დაივიწყო
დედის ტკბილი რძე,
შენი მხარე—საქართველო
და ცხრათვალა მზე...
გაზაფხულის წვიმა მოდის,
განა ვტირი მე.
ნანა, იავ, ნანა, ვარდო,
ნანას ჰქირიმე!

ვიწექ მარტო

ვიწექ მარტო, ჩემს კოხმახში
უპატრონოდ ჩაკეტილი,
არ მესმოდა სიტყვა დედის,
სანუგეშო და კეთილი,

არც სანთელი ლიცლიცებდა,
არც კერასთან ენთო კვარი,
არც გაზაფხულს შეეხაროდა
ჩემი სახლის ეზო-კარი...

უცებ სარკმლით შემოფრინდა
ორი ბოლომაკრატელა,
იჭიკჭიკეს, იღურტულეს
მხიარულად, სანატრელად.

მომაგონდა ჩემი სატრფო,
ცხრა მთას იქით დაკარგული,
და ენგურის ტალღებს გაჰყვა
ჩემი ცრემლის ნაკადული...

პოეტის ახალი კრებული რუსულ ენაზე

გურამ ასათიანი

ტიციან ტაბიძის შემოქმედებამ უკვე ოცდაათიან წლებში აღძრა აღტაცებული ინტერესი საბჭოთა პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენელთა შორის. რუსმა პოეტებმა — ბ. პასტერნაკმა, ნ. ტიხონოვმა, პ. ანტოკოლსკიმ დიდი გატაცებით თარგმნეს მისი ლექსები. 1936 წელს რუსულ ენაზე გამოცემული პოეტის „რჩეული" ნამდვილი აღმოჩენა იყო საბჭოთა მკითხველისათვის.

ამ წიგნში გამჟღავნებულმა დამოუკიდებელმა, უაღრესად თავისებურმა პოეტურმა სამყარომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ახლობით არაქართველ ადამიანზე, სამუდამოდ შეაყვარა მათ ტიციან ტაბიძის სახელი.

ამ ცხოველი ინტერესის მიზეზი მხოლოდ ტიციან ტაბიძის პოეტური სახეების მაღალი ეროვნული ელფერი კი არ იყო, არამედ სინამდვილის განცდისა და გამოხატვის ის განსაკუთრებული თვისებებიც, რაც ნამდვილად ახლობელი, თანაზიარი აღმოჩნდა თანამედროვე მკითხველისთვის.

ალექსანდრე ბლოკი ამბობდა, „ქარიშხლებისა და განგაშის ეპოქებში პოეტის სულის უნაზესი და უინტიმესი მისწრაფებანიც ქარიშხლითა და განგაშით იმსჭვალებიან".

ტიციან ტაბიძის მთელი პოეტური მემკვიდრეობა ამ სიტყვების შესანიშნავი დადასტურებაა. სწორედ ამის გამო, მისი ლექსები დღემდე სოციალური ძალით ეხმიანება ჩვენს განწყობილებებს, მისწრაფებებსა და განცდებს, რადგან მათში პოეტის ინდივიდუალურ შემოქმედებით ბუნებასთან ერთად ღრმად არის აღბეჭდილი თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებისათვის დამახასიათებელი საერთო თვისებებიც.

ბორის პასტერნაკის მიერ ნამდვილი პოეტური შთაგონებით თარგმნილი ლექსები — „მამ გამარჯვება" და „ლექსი მეწყერი", განსაკუთრებით მეორე ლექსი თითქმის ისეთსავე ღრმა ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორსაც დედანი.

რუსი პოეტის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, აქ „თარგმანი, ორიგინალის მსგავსად, ჩვენზე სიტყვიერებისა კი არა, სიცოცხლის შთაბეჭდილებას ახდენს".

რუსულად ტიციან ტაბიძის ლექსების პირველ გამოცემას მაინც ბევრი რამ აკლდა პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყოველმხრივ გაშუქების თვალსაზრისით.

ეს ხარვეზი ძირითადად შევსებულია. გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა" გორკის მიერ დაარსებული „პოეტის ბიბლიოთეკის" დიდი სერიით ახლახან გამოუშვა ტიციან ტაბიძის ლექსებისა და პოემების აკადემიური ტომი.

წიგნს დართული აქვს სიმონ ჩიქოვანის წინათქმა, გ. ცურიკოვის შესავალი წერილი, პოეტის ავტობიოგრაფია და ლ. მენაბდის საკმაოდ ვრცელი კომენტარები. წიგნი კარგად არის გაფორმებული. მასში შეტანილია პოეტის ცხოვრების ამსახველი რამდენიმე საინტერესო ფოტოილუსტრაცია.

სამწუხაროდ, ასეთი სრული აკადემიური გამოცემა ჯერ კიდევ არა გვაქვს ქართულ ენაზე.

ამ მხრივ რუსული ტომი თავისებური მაგალითია ჩვენთვის. სხვათა შორის, „სოვეტსკი პისატელმა" იმავე სერიით, რომლის მთავარი რედაქტორია ვ. ორლოვი, უკანასკნელ წლებში გამოსცა ვაჟა-ფშაველას, აკაკის და გურამიშვილის ერთტომეულები. გამომცემლობის უახლოეს გეგმაში შეტანილია გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და ირაკლი აბაშიძის წიგნები.

ტიციან ტაბიძის ლექსებისა და პოემების ახალი გამოცემა რუს მკითხველს საშუალებას აძლევს მთელი სისავსით წარმოიდგინოს ის რთული გზა, რომელიც პოეტმა განვლო პირველი შეგირდული ძიებებიდან შემოქმედებითი სიმწიფის ასაკამდე.

აქ შეტანილია 1910, 1911, 1912 წლებით დათარიღებული ლექსებიც, რომლებიც, მიუხედავად მათი ნაკლებ ორიგინალურობისა, მაინც საინტერესოა პოეტის ადრინდელი ლიტერატურული მიდრეკილებების დასადგენად.

ტიციან ტაბიძემ, როგორც ქართულ პოეზიაში მისი თაობის სხვა ბევრმა წარმომადგენელმა, შედარებით ადრე მოიხადა ნეორომანტიკული გატაცების სახადი. 1915 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, სათავეში უდგება ქართველი მოდერნისტების ახლად აღმოცენებულ სკოლას „ცისფერ ყანწებს". სიმბოლიზმით დაავადებამ ბევრად უფრო ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას.

მთელი მისი ადრინდელი პოეზია (ოციანი წლების დასაწყისის ჩათვლით) სავსეა მწვავე შინაგანი წინააღმდეგობებით.

ბოდლერის ბოროტების ყვავილების ქართულ ლირიკაში გადმონერგვის ცდა, დაცემულობის მსოფლშეგრძნებით, ესთეტიზმით, სიმბოლისტური პარადოქსებით გატაცება და თეორიზება — უბრალო პოზა არ ყოფილა ახალგაზრდა ტიციან ტაბიძისთვის.

მის არაერთ ადრინდელ ლექსში გარკვევით იგრძნობა პოეტის წრფელი განცდა, ნამდვილი, არამოჩვენებითი სასოწარკვეთა და სულიერი ტკივილი. ამ ლექსების კითხვისას ხშირად გვეუფლება ისეთი შეგრძნება, თითქოს უშუალოდ ეხები ადამიანის ჭრილობებს.

სწორედ პოეტური განცდის ეს შინაგანი უტყუარობა დღემდე უნარჩუნებს მათ შეუნელებელი ზემოქმედების ძალას.

ტ. ტაბიძის ზოგიერთ რევოლუციამდელ ლექსში უკვე შეინიშნება თავისებური დაცინვა საკუთარი სიმბოლისტური მოტივების მიმართ. პოეტი თითქოს ცდილობს გაარღვიოს მის მიერვე შექმნილი „მეორე რეალობის" დახშული რკალი.

შეუძლებელია პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში გვერდი ავუაროთ აგრეთვე ზოგიერთ სხვა მოტივს, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა დეკადანსის ესთეტიკურ იდეალებს. ავადმყოფობის, სიმახინჯის, ჭკნობის აპოლოგიასთან ერთად, ტ. ტაბიძის პოეზიაში ნათელი სხივივით შემოიჭრება გვიანდელი ეპიგონური, სიმბოლიზმისათვის სრულიად უცხო ჯანსაღი ნოტები, რომლებიც გვამცნობს მშვენიერებისაკენ პოეტის ინსტინქტურ სწრაფვას მისი „ნორმალური" კლასიკური გამოვლენით.

დეკადენტური ფილოსოფიის მიმართ ასეთი „ღალატის" მაგალითად შეიძლება გამოდგეს პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ცნობილი სონეტი.

მოდერნისტული ხელოვნების შინაგანი უნაყოფობის შეგნება და ამ ნიადაგზე წარმოშობილი საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის მწვავე გრძნობა 1921-1923 წლებში ტიციან ტაბიძის პოეზიის წამყვან მოტივად იქცევა.

საბჭოთა დროის თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ტიციან ტაბიძე სთვლიდა პოემა „რიონ-პორტს" (1928 წ.). მაგრამ ჯერ კიდევ 1926-1927 წლებში მან შექმნა მთელი რიგი ბრწყინვალე ლირიკული ლექსებისა.

ამ ნაწარმოებთა დამახასიათებელი თვისებაა პოეტისთვის სრულიად ახალი, ოპტიმისტური დამოკიდებულება და ასევე უჩვეულო ხალისიანი ინტონაცია.

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,
გადაფარებს ყანებს შეინდებულს.
შერცხვება ვარსკვლავი, თუ ამ მზეს ხედავს
და ხავერდის კიდევ შეუშინდება.
მოვჩერჩილავ ცას გაკვირვებით
და აღიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა.
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,
ხიმაკაურის გული ჩამდგება.

ეს ლექსი განსაკუთრებით ნათლად მოწმობს, თუ რა წყაროებს მიმართავდა პოეტი, რათა თავისი ძველი დეკადენტური „სიმბოლო" დაეძლია.

1926-1928 წლების საუკეთესო ლექსებში — „მამ გამარჯვება...", „რიონ- [illegible]

მძაფრი შინაგანი დრამატიზმი, რომელიც ტ. ტაბიძის სულის უინტიმეს მისწრაფებათა დამახასიათებელი თვისებაა, ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზია იმ თავისებური, რომანტიკული, ამაღლებული ინტონაციისა, რომელიც ამ დროიდან სულ უფრო და უფრო ძლიერდება პოეტის შემოქმედებაში.

მაგრამ ამ რომანტიკულ ამაღლებას უკვე არაფერი საერთო აღარა აქვს სინამდვილისადმი ქედმაღლურ, სნობისტურ დამოკიდებულებასთან. ეს არის ცხოვრებასთან გაუცხოებულ კაეშანში მყოფი ჯანსაღი რომანტიკა, რომელსაც უკვე აღარ ემინება „მიწიერ პროზაში" ფრთების გასვრისა და თავისი აღმაფრენის ძალას ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდან სესხულობს.

სწორედ ამის გამო მის ლირიკულ შედევრებში ასე იშვიათად ვხვდებით მისტიურ, გონებისმიერ სქემებსა და სიმბოლოებს, ან ზედმიწევნით გამოლამაზებულ, ფილიგრანულ სახეებს; ამიტომაც ასე უცხოა მისთვის სტილის ნაძალადევი სიკოხტავე და ხელოვნური ფერადოვნება. მართალია, ტიციან ტაბიძე არც თუ იშვიათად გვხიბლავს ბრწყინვალე ფერწერული სახეებითაც „ანგელოზებმა მეტივეებს მოჰპარეს კვარი, ლურჯლის ტივებზე გაწოლილი ქალივით მთვარე"..., „და ისე ყრია თეთრი ვარდები, თითქო ათასი აქ გედი მოკლეს"... მაგრამ კიდევ უფრო ხშირად პოეტი შეგნებულად წამოსწევს ხოლმე პირველ პლანზე თვით „შიშველი" გრძნობასა ან სინამდვილიდან უშუალოდ აღებული შთაბეჭდილების შინაგან პოეტურობას და თამამად შეაქვს თავის ლექსში ცხოვრების ცოცხალი სუნთქვა. ამ თვალსაზრისით ტიციან ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედების დევიზად გამოდგება ნ. ტიხონოვის მიერ თარგმნილი მისი ლექსის („შემოდგომის დღე ოქროყანაში") პირველი სტრიქონები:

მინდა დავტიო უბრალო ლექსში,
რასაც გული გრძნობს და ხედავს
თვალი...

ოცდაათიან წლებს ახალი თვისებები შეაქვს ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. საბჭოეთის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობამ, მშრომელ ხალხთან მჭიდრო დაახლოებამ და მშობლიური ქვეყნის ყოველდღიურ დაძაბულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააფართოვა მისი პოეტური სამყარო. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები „ალავერდობა", „ასე მგონია, თითქო ვხედავდი", „[illegible] გაზაფხული", „[illegible]", განსაკუთრებით „სამშობლო"...

ტიციან ტაბიძემ და მისი თაობის პოეტებმა ქართულ მწერლობას ბევრი ძვირფასი მეგობარი შესძინეს. რუსეთის, უკრაინის, სომხეთის უნიჭიერეს მწერლებთან მათი პირადი სიახლოვე და ძმობა უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძვლად იქცა.

„ლექსი-მეწყერის" ავტორმა ბევრი მათგანი მოხიბლა თავისი ლექსით და პიროვნებით. თვითონ ტიციან ტაბიძის პიროვნება იქცა პოეზიის საგნად:

Он курит, подперев
Ладонью подбородок.
Он строг, как барельеф,
И чист, как самородок.
Он плотен, он шатен,
Он смертен, и однако
Таким как он, Роден
Изобразил Бальзака...

რუსულ ენაზე გამოცემული პოეტის ახალი წიგნი თავისებური საბუთია მის მიერ სიცოცხლეში უხვად დათესილი სიკეთისა და სიყვარულისა.

ამ სიყვარულმა ვერ შეძლო მისი დაცვა მძიმე განსაცდელის ჟამს. სამაგიეროდ სიკვდილის შემდეგ მან გადაარჩინა იგი სიმარტოვეს, შთამომავლობის გულგრილობას.

თავისი ერთგული მეგობრებით გარშემორტყმული, მათი ალერსიანი ხელით მოვლილი და თითქოს ახალ ნიადაგზე გადარგული პოეტის ლექსი კვლავ ზეიმობს თავის უკვდავებას.

„მშვიდობის სადარაჯოზე"



ისევ შრომა. მხატვარი ვ. გაბაშვილი.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებათა პროექტი, რომელიც შეიმუშავა მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა.

1966 წლის სექტემბერი საქართველოში შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებული საერთო-სახალხო ზეიმის თვე იქნება. მიზანშეწონილად ცნეს, რომ გამოცხადდეს კონკურსი პოეტის ახალი ძეგლის ასაგებად.

საიუბილეო წელს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტი დამატებით ოთხ პრემიას მიანიჭებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს.

დასახულია, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნას შოთა რუსთაველის სახელმწიფო მუზეუმი. იუბილესათვის მოეწყობა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა. ამ თარიღს დაუკავშირებს თავის გამოფენებს საქართველოს ყველა მუზეუმი. რესპუბლიკის მხატვართა კავშირი და საქართველოს ხელოვნების მუზეუმი მოამზადებენ თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენას.

მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა საქართველოს მწერალთა კავშირს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას დაავალა მოამზადონ და გამოსცენ „ვეფხისტყაოსნის" ახალი ბწკარედი თარგმანი რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და არაბულ ენებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი გამოუშვებს „ვეფხისტყაოსნის" ახალ საიუბილეო გამოცემას ქართულ და რუსულ ენებზე. ამავე ენებზე პოემა გამოვა მცირე ფორმატით; დასახულია, რომ ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოიცეს პოპულარული მეცნიერული გამოკვლევები „შოთა რუსთაველი" და „ვეფხისტყაოსანი", პოემის ნაბეჭდ გამოცემათა მოკლე აღწერა, სპეციალური სამეცნიერო და ლიტერატურულ-მხატვრული კრებულები, რომლებიც რუსთაველისადმი იქნება მიძღვნილი. ცალკე წიგნად გამოვა პოეტის აფორიზმების კრებული. გამოცემების მომზადება დავალებული აქვთ რესპუბლიკის მწერალთა კავშირს, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

გამოცხადდება კონკურსი უკვდავი პოემის საიუბილეო გამოცემის ახალი ილუსტრაციების შესაქმნელად. რესპუბლიკის თეატრები თავიანთ სარეპერტუარო გეგმაში შეიტანენ ახალ დადგმებს. ქართველი კომპოზიტორები შექმნიან მუსიკალურ ნაწარმოებებს „ვეფხისტყაოსნის" თემებსა და მოტივებზე. დასახულია შოთა რუსთაველის ეპოქის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებანი.

საქართველოს თეატრებსა და კულტურის სახლებში გაიმართება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი თემატური საღამოები. ქართველი კინემატოგრაფისტები „ვეფხისტყაოსანს" მიუძღვნიან მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმებს. რესპუბლიკის სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყობა საღამოები და დილები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები და უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლები საიუბილეო დღეებში გამართავენ შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებს. იუბილეს ეძღვნება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მთქმელთა შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება.

განზრახულია შეიქმნას საიუბილეო მედლები, აგრეთვე ღია ბარათები, რომლებზეც დაბეჭდილი იქნება პოემის ილუსტრაციები. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო გამოუშვებს სპეციალურ საიუბილეო საფოსტო მარკებს, რომლებზეც აღბეჭდილი იქნება შოთა რუსთაველის პორტრეტი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წინაშე აღძრულია საკითხი, რომ თბილისში შოთა რუსთაველის იუბილის დღეებში გაიმართოს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო საიუბილეო კრება გაიმართება თბილისში 1966 წლის სექტემბერში.

გულახდილი საუბარი ლექსების წიგნზე

ხ. დემურხანაშვილი

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც შალვა ამისულაშვილი პოეტურ მოღვაწეობას ეწევა. ღონიერი ქართული სიტყვა, ნათელი სახეები, ბუნებრიობა და გულწრფელობა, იმახიანი ტონი პოეტს ზედმიწევნით აახლოებს ქართული ლექსის ტრადიციებთან და, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, საკუთარ ხასიათთან და პოეტურ ბუნებასთან.

შ. ამისულაშვილი პოეტების იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დიდი ხანია დაასრულეს ყოველგვარი შემოქმედებითი ექსპერიმენტები. საბოლოოდ შემოიღობეს საკუთარი მიდამო და იქ მოიყვანეს მოსავალი.

ამიტომაც, როცა ასეთი პოეტი ახალ წიგნს აქვეყნებს, ჩვენ მხოლოდ იმას ვაქცევთ ყურადღებას, თუ ავტორმა რამდენად განაზოგადა თემა, რამდენად აამაღლა საკუთარი მსოფლმხედველობა და რა პრობლემები დააყენა.

ამ მოლოდინით გადავშალე შ. ამისულაშვილის ბოლოდროს გამოცემული ლექსების წიგნი „სურვილი".

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ამ წიგნის კითხვამ მომგვარა, იყო თემის საუცხოოდ მიგნება და განზოგადება. ბევრ ლექსში აშკარად ჩანს, რომ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში პოეტი მეტად სერიოზულ თემას ჰკიდებს ხელს და ოსტატურადაც ხსნის.

მის ერთ-ერთ მშვენივრად გააზრებულ ლექსს „უენო სალამური" ჰქვია. სალამურს მხოლოდ ორი წელი ერგო ბედად გულობა. ოცი საუკუნე კი მიწაში ეძინა იბერიელი ჭაბუკის გვერდით, იმ ჭაბუკის გვერდით, ვის ხელშიც უენო სალამურს ბულბულის ენა ჰქონდა ამოდგმული. დრო გავიდა. სალამური მკვდრეთით აღსდგა, ის იბერიელი ჭაბუკი კი, თავიდათავი პატრონი ამ სალამურისა, კვლავ საუკუნოდ განისვენებს. შემდეგ ბრწყინვალე გააზრებით ვითარდება ლექსის სიუჟეტი: სამაგიეროდ სხვა ვაჟკაცმა შთაბერა სული სალამურს და თავის სალამურთან ერთად ის იბერიელი ჭაბუკიც წამოიყვანა სამარიდან. გრძელდება ოცი საუკუნის წინათ წამოწყებული სიმღერა და გრძელდება სიცოცხლეც.

ეს სევდიანი შინაარსის ლექსი, ნიჭიერად გააზრების გამო, მომხიბლავი და ოპტიმისტური გახდა კარგი ოსტატის ხელში. არანაკლებ ღირსეულია ლექსები „ზამთარი", „შუაზე გაპრილი სურა", „ხმილენძის ბუკი", „სალაშქრო დროშა", „ვეფხის დატირება" და სხვ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ლექსებში, გააზრებასთან ერთად, სალებავები და სახეები დიდი ტაქტით არის გამოყენებული, მათი კითხვის დროს სინაზე და გულწრფელობა მაინც გიპყრობთ, ისინი თავისთავად კარგი ლექსებია, მაგრამ მათი კითხვის დროს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გეუფლებათ, გინდათ უფრო მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას აღგიძრავდეთ.

პოეტის ყოველი ლექსი იმისდამიხედვით გაინტერესებთ, როგორ აღიქვა ავტორმა თემა ან ესა თუ ის მომენტი და, ბოლოს, მიაგნო თუ არა ლექსს შინაარსის შესაფერისი ფორმა, მუსიკა და რიტმი.

ჩვენი აზრით, ზოგიერთი ლექსის ფორმა გაცილებით დაბლა დგას, ვიდრე მისი შინაარსი, რის გამოც ლექსი ზემოქმედების ძალას კარგავს. მოვიყვანოთ მაგალითი:

ოცი საუკუნე
მიწაში ვდუმდი
იბერიელი ჭაბუკის გვერდით,
ო, იმ ჭაბუკსაც
ნეტავ ჩემებრ
დაჰპირებოდა მკვდრეთით აღდგომა.

და შემდეგ:

და შენ პატარა
კაბილო ბიჭო,
ვინც მე ხელახლა შთამბერე სული,
იქნებ როგორმე, იქნებ როგორმე
იმ ძველ ჭაბუკსაც ჩასწვდე
[illegible]

მიუხედავად იმისა, რომ ლექსი მძაფრი შინაარსისაა, გარეგნული ემოცია მაინც ნაკლებია, ემოციას კი, უმთავრესად თემის შესაფერი რიტმი ჰქმნის. ლექსის ყოველ შინაარსს თავისი შესაფერი რიტმი აქვს. პოეზიას, გარდა ყოველგვარი ცნობილი ხერხებისა, აქვს კიდევ სხვა უხილავი ძალები, რომელთა მეშვეობით ლექსი ჯადოსნურად მოქმედებს მკითხველზე და, რომელიც ჭეშმარიტი პოეტის ხელშეუხებელ არსენალს წარმოადგენს.

წარმოიდგინეთ რა იქნებოდა გ. ტაბიძის „მერი", თავისი სევდიანი ხმით რომ არ ქმნიდეს განწყობილებას!

მე რატომღაც მგონია, რომ „უენო სალამურში" გადმოცემული ამბავი პროზადაც რომ დაწერილიყო, თავისი შესაფერისი რიტმი სჭირდებოდა, რათა დიდი ემოცია მოეხდინა მკითხველზე.

ამ ლექსში მე ვეღარ ვიცანი შ. ამისულაშვილისთვის ჩვეული კეთილხმოვნება, იგი თითქოს განგებ ცდილობს ბუნებით სევდიანი შინაარსი გულგრილი, დინჯი ტონით გადმოგვცეს და თვითონაც გულგრილი დარჩეს მნიშვნელოვანი ამბის მიმართ. იქნებ ეს მისი პოეტური ხერხია? იქნებ უნდა მკითხველი შეიყვანოს მძაფრ სევდიან განწყობილებაში და თვითონ კი მოჩვენებითი სიმშვიდე შეინარჩუნოს? მაგრამ ეს ხომ ლირიკაა და არა ბელეტრისტიკა! მე მაგონდება ანა კარენინას სიკვდილი, რომელიც დიდი გულგრილობით აქვს აღწერილი ლ. ტოლსტოის, ხოლო მკითხველი ცრემლს ვერ იკავებს. მაგრამ იქ ტოლსტოის მიერ გამოყენებული ხერხი გენიალობამდე ადის და აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან ჩვენ ანას თვითმკვლელობამდე ძალიან კარგად ვიცნობდით. იქ ჩვენთვის საყვარელი ადამიანი იღუპება და ავტორის პათეტიკური სევდიანი კილო ამ დროს ჩვენს გრძნობებზე ცუდადაც კი იმოქმედებდა. ლექსში კი ავტორი ერთი წუთის მანძილზე გმირსაც გვაცნობს, მის ამბავსაც გადმოგვცემს. თუ თვითონ ავტორმა არ განიცადა ის, რაც მკითხველს გინდა განაცდევინო, ამაოდ გაირჯები.

მაშ რა მოხდა, რატომ უღალატა შ. ამისულაშვილმა, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვეულ კეთილხმოვნებას?

ავიღოთ მეორე ლექსი „შუაზე გაპრილი სურა", რომელიც არანაკლებ ნიჭიერად არის გააზრებული. ერთი შეხედვით უბრალო ამბავი პოეტის მახვილ თვალს ლექსის მშვენიერ თემად უქცევია. ის ფაქტი, რომ შუაზე გაპრილი სურა ასე კარგად გააზრებულ ლექსად აქცია, თავისთავად მოწმობს დიდ პოეტურ ალღოს. ხაზგასმით ასეთი ხილვა კარგი ოსტატების წილხვედრია.

ვიღაცის დაოსტატებულმა ხელმა უჩვეულო სიზუსტით შუაზე გაპრა სურა და ალბათ ეს ამბავი მთელი სიცოცხლის მანძილზე საამაყოდ ჰქონდა, რადგან მხატვრული ნიჭის უქონლად, ვერავინ ვერ შეძლებდა ამას.

ეჭვმიუტანელი სიმართლეა, იგი ყველა დროის ადამიანის ბუნებიდან და ხასიათიდან მომდინარეობს. მაგრამ იცოდა თუ არა იმ სურის გამპრელმა, რომ თავისი ნაოსტატარი, რომლითაც თვითონ ამაყობდა, როდისმე შთამომავლობას შეხვდებოდა?

ალბათ მის გამპრელს მთელ
სიცოცხლეში
მხოლოდ ის ჰქონდა საამაყოდ.
მე კი ვულამდე სევდით ამავსო,
მისმა ქცევამ და მისმა კაცობამ.
ვით აღავსებდა იმ უცნობ ოსტატს,
ვინც ვერცხლის სურა შექმნა
გულით,
შექმნა და
წყაროს წყალით ავსებულს,
თუ ვინმე ხელში აიტაცებდა,
მერე ტუჩებზე ტუჩმოყუდებულს
მართლაც გულით გაჰქონდა
ძგერა...

თუ გასაყოფი
ჰქონდათ ქონება,
თავს რად იმღერდნენ
სახართაბალოდ, —
ღვე ერთისთვის დადებდნენ იგი
და მეორისთვის დადებდნენ სხვა რამ...
თუმცა რა მეთქმის, როცა
სამშობლოც
ამ სურასავით იყო გაპრილი...

ამ ლექსში, მართალია, ისეთი მძაფრი შინაარსი არ არის, როგორც „უენო სალამურში", მაგრამ ემოცია უფრო ნაკლებს ახდენს, ვიდრე მოსალოდნელი იყო. შინაარსის შესაფერისი რიტმი აქაც დაკარგულია.

ისეთივე მანერით, სტილით არის დაწერილი ეს ლექსიც, როგორითაც „უენო სალამური". თუმცა ისინი შინაარსის ხასიათით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. ჩვენ არა ვდაობთ იმაზე, ეს ნიჭიერად გააზრებული ლექსი რომელ სქემას ეკუთვნის, ტერცინა, თავისუფალი ლექსია თუ ურითმო. აბსოლუტური მნიშვნელობა არა აქვს, ლექსი რომელ სქემასაც უნდა მიეკუთვნებოდეს, ოღონდ მიზანში ზუსტად ხვდებოდეს და ფორმაში სიყალბე არ იგრძნობოდეს.

არ შეგვიძლია, სანიმუშოდ არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი ლექსი, რომელიც მეტად რომანტიკული და გმირული სიღრმით არის აღსავსე. როგორც სხვა ლექსებში, ამ ლექსშიც ყველაფერი რიგზეა: ზუსტი სახეები, ღონიერი, მაღლმოცემებული სიტყვა და ყველა ის სიკეთე, რაც პოეზიის ნამდვილ ნიმუშს უნდა ჰქონდეს.

გზა რისთვის შემიყარე, ეუბნება ხვაში ვეფხვს, მე რას მერჩოდი.

ნადირთან გრძნობა
იქნება ცოტაანს,
ცოტაანს მაინც გეცოცხლა ჩიტებს,
ხარ მეხბლში სავსუნი,
ტოლდაიდებელო,
შენ ყორანს შენზე არ გავახარებ...
წითელ პიტალოსთან
გაგითხრი სამარეს
ჩითის პერანგსაც თან ჩაგაყოლებ.

როგორც ატყობთ, ეს ლექსიც იმავე კალაპოტშია გატარებული, რომელშიც ზემოთ მოყვანილმა ლექსებმა გაიარა და განა მარტო ეს? სხვა საუკეთესო ლექსებიც: „ხმილენძის ბუკი", „შავი ხარი", „სალაშქრო დროშა", „ზამთარი" და სხვა. სწორედ ეს მდგომარეობა აძლიერებს ეჭვს: შ. ამისულაშვილი ფორმისადმი ძიებამ ხომ არ წაიტყუა?

ერთხელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მშვენიერმა წიგნმა, რომელიც პოეტის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია, ეს ეჭვი აღგვიძრა, რადგან ჩვენი სურვილი იყო და არის წიგნში წარმოდგენილი ლექსები უფრო დიდ მხატვრულ დონეზე იდგეს, უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდეს. და თუ ჩვენი ეჭვი მართალია, საქმე ურიგოდ არა ყოფილა, რადგან ამ ლექსებს ერთი ნიშანი აქვთ, რათა მეცნება [illegible]

„მშვიდობის სადარაჯოზე"



[illegible] მხატვარი [illegible]

სრულყოფის მწვერვალზე

შესანიშნავი სიმღერა მომღერლის — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის გოარ გასპარიანის საგასტროლო სპექტაკლებმა და სოლო კონცერტმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდად დაინტერესა ჩვენი ქალაქის ფართო საზოგადოება. გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურში" ოპერის მონაწილეობამ და ძალზე საინტერესო საკონცერტო გამოსვლამ კიდევ ერთხელ ცხადყო ამ მკაფიო არტისტული ინდივიდუალობის მქონე ხელოვანის შემოქმედებითი დიაპაზონის სივრცე და მისი საშემსრულებლო მანერის ზემოქმედების ძალა. თბილისელ მუსიკისმოყვარულებს წლების მანძილზე შესაძლებლობა ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ იშვიათი სილამაზის ლირიკულ-კოლორატურული სოპრანოთი დაჯილდოებული და ჭეშმარიტად ვირტუოზული ვოკალური ტექნიკით აღჭურვილი მომღერლის მართლაც რომ განსაცვიფრებლად სწრაფი შემოქმედებითი ზრდისათვის.

ვისაც გ. გასპარიანისათვის არამ ტიგრანიანის ოპერებში „ანუშსა" და „დავით-ბეკში" ან ტ. ჩუხაჯიანის „არშაკ II"-ში მოუსმენია, მისთვის ცხადია, რომ მომღერლისათვის „ბელ კანტოს" სტილის სრულყოფილად ფლობა არასდროს არ ყოფილა თვითმიზანი, რომ მომღერალი ქალი თავის დახვეწილ საშემსრულებლო ტექნიკას ყოველთვის გმირის ფსიქოლოგიური სამყაროს გაგების ამოცანას უმორჩილებდა. სწორედ ამიტომ არის, რომ სომხური საოპერო კლასიკის ზემოთაღნიშნულ ნაწარმოებებში გ. გასპარიანის მიერ შექმნილმა მხატვრულმა სახეებმა უკვე დაამკვიდრა საშემსრულებლო ტრადიცია. როგორც ცნობილია, გ. გასპარიანის შემოქმედებითი სახისათვის ძალზე ახლობელია იტალიური საოპერო კლასიკაც და ეს არც არის გასაკვირი—იგი ხომ იტალიური ვოკალური სკოლის საუკეთესო ტრადიციებზეა აღზრდილი, ფლობს „ნატიფი სიმღერის" („ბელ კანტო") ხელოვნების ყველა საიდუმლოს. შესაძლოა წელთა სვლამ მის „ვერცხლისებური ელვარების" მაღალ ბგერებს ბრწყინვალება წაართვას, მაგრამ ხმის დიდი მოქნილობა, კოლორატურული ხვეულების საოცრად ბუნებრივად გადმოცემა, ფრაზის შინაგანი სუნთქვის ჭეშმარიტი ალღო და მხატვრული სახის დინამიკაში ჩვენების მახვილი გრძნობა ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს.

გ. გასპარიანის არტისტული ინდივიდუალობისათვის ყველაზე შესატყვისი ლირიკულ განცდათა სფეროა, მაგრამ განწყობილების ამ სამყაროში იგი ემოციური გარდასახვის ისეთი ზღვრული ხარისხისაკენ ისწრაფვის, რომ ხანდახან ძნელიც კი ხდება დადგენა—რა უფრო ახლოა მისთვის, ფაქიზი ლირიკის სფერო, თუ ჭეშმარიტ დრამატიზმამდე, ტრაგიზმამდე ამაღლება თავდავიწყებული განწყობილებისა. ემოციური გარდასახვის ამ დიდ ოსტატობაზე ნათლად მეტყველებდა მომღერლის სოლო კონცერტი, რომელიც მისი საგასტროლო სპექტაკლების შემდეგ შედგა. ჩვენი აზრით, ეს კონცერტი გაცილებით ფართო წარმოდგენას იძლეოდა მსახიობის შემოქმედებით ოსტატობაზე, ვიდრე გ. დონიცეტის ოპერაში მისი უდავოდ საინტერესო გამოსვლა.

ლუჩიას პარტიაში თბილისელმა მსმენელმა გ. გასპარიანს პირველად მოუსმინა. ეს გამოსვლა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ნაწარმოების სტილისა და მომღერლის საშემსრულებლო მანერის თანხვედრის გამო. და მართლაც, მსმენელთა მოლოდინი სავსებით გამართლდა. გ. გასპარიანი—ლუჩია ჩვენს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება, პირველყოვლისა, სწორედ ამ დიდი შინაგანი კავშირის გამო. კეთილშობილური სისადავე, ზომიერება, ემოციის შინაგანი სიღრმის გადმოცემა და, რაც მთავარია, ვირტუოზული ტექნიკის მთლიანად მხატვრული სახის რომანტიკული არსის გადმოცემისადმი დამორჩილება, — აი თვისებები, რომლებმაც თავი იჩინა მომღერლის მიერ კოლორატურული სოპრანოს რეპერტუარის ამ ურთულესი პარტიის შესრულებაში.

გ. გასპარიანის შესრულებაში ემოციურად ყველაზე „მეტყველი" აღმოჩნდა განცდის დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით აღბეჭდილი ლუჩიას არია ოპერის II სურათიდან, მისივე დუეტი ედგარ რავენსვუდთან ამავე სურათში. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ლუჩიას და მისი ძმის ჰენრი ასტონის მძაფრმა დიალოგიურმა სცენამ (II მოქ. I სურათი), მაგრამ უდავოა, ჭეშმარიტ წარმატებას მომღერალმა ლუჩიას სახის განვითარების სწორედ კულმინაციურ მომენტში — ლუჩიას შეშლილობის სცენაში მიაღწია (III მოქ. I სურათი). ფსიქოლოგიურად და, რაც მთავარია, ტექნიკურადაც ურთულესი ამ მონოლოგიური ტიპის სცენის შესრულება გასპარიანის ვოკალისტისა და აქტიორის უმაღლეს მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მომღერლის შესანიშნავი „ტემბრული ორეულის"—სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის ლ. ალოიანის აღნიშნულ სცენაში ფლეიტის პარტიის ბრწყინვალედ შესრულება. ლ. ალოიანის დაკვრას ელფერადობის ჭეშმარიტი „ვოკალური" სითბო და სინატიფე ახასიათებს.

გ. გასპარიანის ნამდვილ შემოქმედებით გამარჯვებად იქცა მისი სოლო გამოსვლა. უფრო სწორი იქნებოდა ამ შთამბეჭდავი კონცერტისათვის თეატრალური საღამო გვეწოდებინა. მუსიკის ტექსტებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებებისაგან (საოპერო არიები, კამერული მინიატურები და სხვა) შემდგარი პროგრამით გამოსვლის ამ პირველმა შემთხვევამ, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. სრულიად სხვადასხვა ეპოქისა (გ. ფ. ჰენდელიდან არ. ხაჩატურიანამდე) და ეროვნული სკოლების კომპოზიტორთა ურთულესი საოპერო არიებისა და კამერული მინიატურების შესრულებით გ. გასპარიანმა კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობა და დიდი პროფესიონალური კულტურა. პროგრამაში შესული ბევრი ნაწარმოები პირველად სრულდებოდა თბილისში. ასე რომ, მომღერლის საკონცერტო გამოსვლას ამ მხრივაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. რაც შეეხება თვით შესრულების ხარისხს, ამ ორგანულიანი კონცერტის უაღრესად რთული პროგრამის დიდი ნაწილი შესრულების ჭეშმარიტი სრულყოფილებით იყო აღბეჭდილი. კონცერტის ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება გ. ფ. ჰენდელის, ჯ. ვერდის, შ. გუნოს, არტ. ხულეგანის, ბიზეის ნაწარმოებთა შესრულებამ მოახდინა.

მომღერალმა შესანიშნავად მიიტანა მსმენელამდე კლეოპატრას არია ჰენდელის ოპერა „იულიუს კეისრიდან", ნათლად გამოკვეთა ჰენდელის მუსიკის დიდი შინაგანი ძალა, მისი ვაჟკაცური სული. როგორი ბრწყინვალება იყო შ. გუნოს ოპერა „რომეო და ჯულიეტადან" პოპულარული ვალსის შესრულებაში. ასეთ სინატიფეს მხოლოდ ჭეშმარიტი ოსტატები აღწევენ. მსმენელის მეხსიერებაში დიდხანს დარჩება ორი ვოკალური მინიატურა: არტ. სულეგანის „სონეტი" და ბიზეის „ტიროლი". შედარებით ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჯულიეტას რომანსმა ბელინის ოპერა „მონტეგები და კაპულეტებიდან" (ფლეიტის თანხლებით). ვფიქრობთ, მომღერლის ინდივიდუალობისათვის შეუფერებელი იყო ლედი მაკბეტის კავატინა ჯ. ვერდის ოპერა „ლედი მაკბეტიდან".

სამაგიეროდ გ. გასპარიანის ნიჭი და ოსტატობა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოვლინდა დეზდემონას სიმღერაში (ჯ. ვერდის ოპერა „ოტელოს" ფინალი). „სიმღერა ტირიფზე" მომღერლის შესრულებით მართლაც, რომ შეუპოვრად განაცდევინებს მსმენელს ტრაგიკული დასასრულის მოლოდინს. გ. გასპარიანი აქ ბრწყინვალედ იყენებს ფსიქოლოგიური კონტრასტის ხერხს, რის შედეგადაც მოჩანს დინამიკური ნიუანსების ძალზე ფაქიზი განაწილება. გ. გასპარიანის პიანო მართლაც რომ განსაცვიფრებელია.

ძლიერად ჩაატარა მომღერალმა ოფელიას შეშლილობის სცენაც (ა. ტომას ოპერა „ჰამლეტი").

საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. გასპარიანის სოლო კონცერტმა ერთხელ კიდევ ნათელყო მომღერლის ყოველდღიური მისწრაფება ახალის ძიებისაკენ, რეპერტუარის გაფართოებისაკენ, თუმცა ამ უკანასკნელის მასშტაბები ისედაც ძალზე ვრცელია. როგორც სიტყვა ერთ პატარა დეტალზე. ძიებებში ამ გზაზე მომღერალს ხანდახან ისეთი ექსპერიმენტებიც აქვს, რაც, ჩვენი აზრით, მისი შემოქმედებითი ნატურიდან არ გამომდინარეობს. ამიტომ იყო, რომ ასე მკრთალად ჟღერდა მისი შესრულებით ბატერფლაის არია პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანიდან" იგი პროგრამაში არ იყო.

იმ ნაწარმოებებმაც, რომლებიც გ. გასპარიანის სოლო კონცერტის პროგრამაში არ ყოფილა, ჭეშმარიტი ესთეტიკური სიამოვნება განაცდევინა მსმენელებს. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კომიტასის „წეროს" და დოლუხანიანის „მარტოლის" შთაგონებულმა შესრულებამ.

შთაგონებულად ჟღერდა შ. შუბერტის „ავე-მარია". საგასტროლო გამოსვლებმა დამსახურებული წარმატება მოუტანა შესანიშნავ მომღერალს. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მყოფი გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანის საშემსრულებლო სტილისათვის დამახასიათებელი ხდება ახალი ტენდენციები, კეთილშობილური სისადავე, ემოციურისა და რაციონალურის ორგანული შერწყმა, ვირტუოზული ტექნიკის ნაწარმოების შინაარსის გაგებისა და გადმოცემის ჭეშმარიტად ოსტატური დამორჩილება, რაც სავსებით ბუნებრივად ყალიბდება შემოქმედის არტისტული მოღვაწეობის იმ საფეხურზე, რომელსაც ოსტატობის სრულყოფის მწვერვალი ეწოდება.

როდესაც გ. გასპარიანის სოლო კონცერტისაგან მიღებულ დიდ შთაბეჭდილებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მომღერლის წარმატებაში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ფორტეპიანოს პარტიის შემსრულებელმა, სომხეთის დამსახურებულმა არტისტმა ელეონორა ვოსკანიანმა და ფლეიტისტმა ლეონ ალოიანმა.

მოძმე სომხეთის ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენლების ეს გამოსვლები მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საინტერესო მუსიკალური მოვლენაა.

მზია იაშვილი



გაზაფხული. მხატვარი ზ. ნიჟარაძე.

ნართების თქმულება ფრანგულ ენაზე

რამდენიმე ხნის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციამ (იუნესკო) საბჭოთა მთავრობასთან დადო შეთანხმება მხატვრული ლიტერატურისა და ფოლკლორის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების გამოსაცემად.

საბჭოთა ლიტერატურის გამოსაცემ წიგნთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა ოსურმა მხატვრულმა პროზამ. ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო სამეცნიერო საბჭომ საჭიროდ სცნო ოსური ნართების ეპოსი გამოეცა ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე, ხოლო ხეთაგუროვის ცნობილი ნაწარმოები „ირონ ფანდირ" (ოსური ლირა) კი — ფრანგულ ენაზე.

ფრანგულად უკვე გამოვიდა ოსური ნართების თქმულება სათაურით „წიგნი გმირებზე". თქმულებები ნართებზე ოსურიდან ფრანგულად თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები გაუკეთა ცნობილმა ფრანგმა პროფესორმა-ფოლკლორისტმა ჟორჟ დიუმეზილმა. წიგნის შესავალში დიუმეზილი მკითხველებს აცნობს ოსი ხალხის ისტორიასა და მის სულიერ კულტურას.

ოსური ნართების ეპოსის ამ თარგმანის საფუძველს წარმოადგენს პროზაული ტექსტი, რომელიც 1946 წელს გამოსცა ჩრდილოეთ ოსეთის სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა.

გივი თედეევი

შეხვედრა ბიბლიოთეკაში

ამ დღეებში ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა მწერლებთან მარიჯანთან, ქეთევან ქიქუკაშვილთან და რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგ ფატი ნიშნიანიძესთან.

მარიჯანის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა მკითხველმა მ. ლეფულაურმა. ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში მიმოიხილა ქეთევან ქიქუკაშვილის შემოქმედება, რომელიც ოცი წელია, რაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა.

დამსწრეებს სტუმართა სახელით მიესალმა ფ. ნიშნიანიძე. სიტყვები წარმოთქვეს და სტუმართა ნაწარმოებები წაიკითხეს მკითხველებმა დათუკაშვილმა, ხუციშვილმა და სხვ. მწერალმა ქალებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს შეხვედრის მონაწილეებს.

ახალი პრემიები

რუსეთის სფს რესპუბლიკაში ლიტერატურის და ხელოვნების შემოქმედების დარგში თვალსაჩინო ნაწარმოებების წახალისების მიზნით რსფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დააწესა ყოველწლიური სახელმწიფო პრემია. მ. გორკის სახელობის სამი პრემია მიენიჭება ლიტერატურის ყველა ჟანრის — პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, საბავშვო ლიტერატურის, მხატვრული კრიტიკის ნაწარმოებებს. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს მიენიჭებათ ი. რეპინის სახელობის პრემიები, მუსიკალურ ნაწარმოებებს — მ. გლინკას სახელობის პრემიები; თეატრალური ხელოვნების დარგში დაწესებულია კ. სტანისლავსკის სახელობის პრემიები.

* * *

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა მეცხრამეტე საუკუნის დიდი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის პრემია.

პრემია მიეკუთვნებათ ყველაზე სრულფასოვანი ნაწარმოებისათვის მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის, თეატრალური და სახვითი ხელოვნების, კინოსა და ჟურნალისტიკის დარგში ორ წელიწადში ერთხელ — 28 აპრილს, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღესასწაულთან დაკავშირებით.

პირველი პრემიები მიეკუთვნებათ მიმდინარე წელს.

მწერალთა კავშირში

პოეტების სექციის სხდომაზე

12 მარტს პოეტების სექციამ განიხილა „მნათობის" 1964 წლის ნომრებში დაბეჭდილი ლექსები. მოხსენება წაიკითხა თამაზ ჭილაძემ.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსების ავ-კარგიანობაზე, აღნიშნა, რომ მარტო „მნათობმა" პოეზიის ბევრი საუკეთესო ნიმუში გამოაქვეყნა. შემდეგ კონკრეტულად გაარჩია ცალკეული ნაწარმოებები, ილაპარაკა პოეზიის აქტუალურ პრობლემებზე, გააკრიტიკა ქართული პოეზიის საკითხებზე ჟურნალში გამოქვეყნებული ზოგიერთი წერილი.

მოხსენებას ცხოველი კამათი მოჰყვა. სიტყვები წარმოთქვეს: გ. შატბერაშვილმა, ოთ. ჭილაძემ, ლ. სულაბერიძემ, ს. ჭილაიამ, რ. მარგიანმა, გ. აბაშიძემ, ალ. გომიაშვილმა.

— ამგვარი განხილვები, — თქვა ჟურნალ „მნათობის" რედაქტორმა გ. აბაშიძემ, — რედაქციის თანამშრომლებს უეჭველად ხელს შეგვიწყობს. კონკრეტული კრიტიკა დაგვეხმარება [illegible] შევარჩიოთ მაღალი ხარისხის ლექსები.

სხდომის მუშაობა შეაჯამა პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ალ. გომიაშვილმა.

ორშაბათი კლუბის დღეა

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით შემოღებულია მწერალთა კლუბის დღე. ყოველ ორშაბათს კლუბში ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიება.

პირველ ორშაბათს, **22 მარტს გაიმართება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის შემოქმედებითი საღამო.** საღამოზე სიტყვებით გამოვლენ მწერლები, ესტრადის მსახიობები შეასრულებენ კომპოზიტორის სიმღერებს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ვალერიან გუნიას უცნობი წერილი

ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე ვალერიან გუნია, ქედს არ იხრიდა სიძნელეთა წინაშე და დაუღალავად ზრუნავდა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის. დიდ მსახიობს ღრმად განიცდიდა თბილისში ქართული თეატრის შენობის ხანძრისაგან დაწვა და „ლუკმა-პურის" საშოვნელად დახმარებისათვის მიუმართავს იმხანად ბაქოში მყოფ დავით თედეშვილისათვის, რომელიც ბაქოს ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი იყო. თბილისში დავით თედეშვილის ბინაში მის პირად არქივში მივაკვლიეთ ვალერიან გუნიას უცნობ წერილს, რომელიც დადასტურებაა ძველი თაობის მსახიობთა შემოქმედების მძიმე პირობებისა. ქვემოთ გთავაზობთ წერილს, რომელიც დაწერილია თბილისში, 1916 წ. 16 აპრილს.

ვაჟა ჩინჩალაძე.

„ყოვლად პატივცემულო, ბატონო დავით!

თავდაპირველად მიიღეთ ჩემი სალამი. ნუ გეწყინებათ ჩემი განცხადება. მას შემდეგ, რაც თეატრი დაგვეწვა, ცოტა არ იყოს, ქართველ მსახიობთა ცხოვრება „დაგვიმძიმდა"...

ვაპირებ ბაქოში ჩამოსვლას და ერთი ან ორი წარმოდგენის გამართვას. დასის ჩამოყვანა ძნელია, რადგან ვშიშობ ხარჯებს ვერ აუვიდე. ეხლა ყველაფერი მამასისხლად და ერთი ათად ღირს.

შემიძლიან ჩამოვიყვანო ნინა დავითაშვილი და ტასო აბაშიძე, ჩამოვალ მე და იქნებ ერთიც ვაჟი ჩამოვიყვანო ვინმე.

დანარჩენ მსახიობთა იმედი (ადგილობრივი სცენის მოყვარენი) თქვენის დახმარებით თუ გამიმართლდება. უეჭველია იკითხავთ პიესებს. რა თქმა უნდა, ისტორიული ბევრად აჯობებს. მე გულითად „ლალატი", მაგრამ შეიძლება კი მავდენი სცენის მოყვარეთა შოვნა?! ისე კი მეტად ადვილი სათამაშო იქნება ჩვენთვის „მეგობრობა" შიუკაშვილისა, „დამნაშავე" ფურისა და სხვა.

ამისათვის ჩემთვის საჭიროა თქვენი ავტორიტეტული რჩევა-დარიგება. თქვენს დახმარებაზე მე წინდაწინვე ვარ დარწმუნებული.

იქნება კეთილ ინებოთ და მოელაპარაკოთ მანდაურ სცენის მოყვარეთ. ჩემთვის ფრიად საინტერესო იქნება შედეგი თქვენი თათბირისა.

მე ვაპირებ, თუ, რა თქმა უნდა, თეატრს ვიშოვნით, ჩამოსვლას 20 ამ თვის შემდეგ, როცა თქვენ მირჩევთ. მოუთმენლად მოველოდები თქვენს პასუხს. გულითადი ჩემი მოკითხვა თქვენს მეუღლეს.

იყავით დღეგრძელი და ყოველ საქმეში გამარჯვებული.

პატივისცემით ვალერიან გუნია".

„მშვიდობის სადარაჯოზე"



მშობლიურ სოფელში. მხატვარი ბ. სანაკოევი.

კრემლის თეატრის სცენაზე

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მრავალჯერ ყოფილა ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში. მოსკოველებმა სამართლიანად შეიყვარეს ეს კოლექტივი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კავსაძე, ქორეოგრაფი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. ბაგრატიონი. ამ დღეებში მოსკოველები კვლავ სიამოვნებით შეხვდნენ ამ ცნობილ კოლექტივს. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა კონცერტები გამართა დედაქალაქის მრავალი თეატრის სცენაზე, ხოლო ამ დღეებში კი მათ კრემლის თეატრის სცენაზე აჩვენეს თავიანთი ხელოვნება.

მაყურებლებმა ყურადღებით მოისმინეს და ნახეს ბევრი ქართული სიმღერა და ცეკვა. კონცერტის პირველ განყოფილებაში დიდი წარმატება ხვდა წილად „ხასანბეგურას", „ცანგალა და გოგონას", „მწყემსის სიმღერას", „ქართულს", „მთიულურს" და სხვ.

მეორე განყოფილების პროგრამიდან განსაკუთრებით მოეწონათ შ. მილორავას „კოლხეთის ქალიშვილები" (ტექსტი ვ. ფურცლისა), „მწყემსის სიმღერა", „სისე ტურა", „ძველი თბილისის სურათები", „სიმღერა საქართველოზე" და სხვა.

მოსკოველები აღაფრთოვანეს ანსამბლის სოლისტებმა: ი. ზაქაიძემ, ა. ლაშქიამ, ვ. ბაბილაშვილმა, ნ. კორომზინაძემ, ვ. თედიაშვილმა, ს. ელბაქიძემ და სხვ. ბევრი სიმღერა და ცეკვა მაყურებელთა თხოვნით, განმეორებით შესრულდა.

დროშა № 3

გამოვიდა ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „დროშა" № 3.

ჟურნალში დაბეჭდილია რესპუბლიკის [illegible] მასალები „მშრომელთა მოსაზრება მშვენება", თ. ჯანგულაშვილის ვრცელი ნარკვევი „ბაღების სურნელი", ნ. კანდელაკის ნარკვევი „წამოდი ჩვენთან ქარხანაში", ქ. გამსახურდიას წერილი „ოთარ აბაშიძე", ალ. მაჭავარიანის „რენატო გუტუზო", ს. კლდიაშვილის „ხალისი ერთი საათით", ალ. ხოტელის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ნ. ჩიჩავას „ხალხური შემოქმედების ქომაგი", ალ. მიქაძის „როგორ იბრძოდა „იბერია" ბოლშევიკებთან", გ. გამრეკელის „საუბარი პრეტენდენტზე", ილიკო ჩარეკლის „სიმღერა მოძმე საქართველოზე" (თარგმანი ა. თევზაძისა), ბ. სერიანის „ჩოგლები სიყვარულზე" (სომხურიდან თარგმნეს გ. თორულიამ და მ. თაქთიანმა), ლ. ნანიტაშვილისა და ო. ჩხეიძის ლექსები, ლ. შეინინის „ხანძარი" (თარგმანი ნ. მეტაველისა) ს. პოპოვის „სპორტული მოხაზვა". ჟურნალის ფერად ჩანართში დაბეჭდილია რენატო გუტუზოს ნახატების რეპროდუქციები.

ახალი დადგმები

„ცხოვრების ჯარა"

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ცხოვრების ჯარა", რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.

„ბრალდებული"

ამ დღეებში [illegible] კულტურის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ბ. გრინბერგის ორმოქმედებიანი დრამა „ბრალდებული". სპექტაკლი დადგა ე. მელადურიძემ, მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას, ქორეოგრაფია ნ. კანდელაკის, როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ც. მეუმარიაშვილი, შ. ნარსია და ე. სანაძელი, მსახიობები ე. გელოვანი, გ. ცაგარეიშვილი, ა. ხვედელიძე, ვ. გოგოლიძე და სხვ.

უცხო მხარეში

ალბერტო მორავია

უკვე მესამე დღეა წვიმს. ქალაქის განაპირას, ხეივანში მტვრიანებულ ყვითელ ფოთლებს ისეთი სურნელება ასდის, შემოდგომის დიდი წვიმის შემდეგ ტყეში რომ იცის. ამ სურნელებამ აღუძრა მას სურვილი ბედნიერებისა და იმისა, რომ თავისი ნამოქმედარით ნასიამოვნებს თავი ბედნიერად ეგრძნო.

—სწორედ პირიქით არის,—ფიქრობდა ხეივნის სიღრმეში დიდი შენობისაკენ მიმავალი,—რაც გამიკეთებია: უნივერსიტეტში სწავლა (რის მოწოდებაც არ გამაჩნია), მეგობრობა (რომელიც ეფემერული და უღიმღამო იყო), წიგნების კითხვა (რაც სულიერ საზრდოს არ მაძლევდა), გართობა (რაც მოწყენილობა უფრო იყო), ყოველივე ეს უნაყოფო და ამაოა.

ახლა მისთვის სავსებით ცხადი იყო, რომ მეძლო ყველაფერი სულ სხვანაირი საქმიანობით შეეცვალა...

— საბოლოოდ, ისე გამოდის—დაასკვნა მწარედ და უსიამოვნოდ,—რომ თითქოს უცხო მხარეში მოვხვდი, სადაც გამოუცდელობისა და უმეცრების გამო იძულებული ვარ ისეთ ადამიანებთან მქონდეს საქმე, ვისთანაც საქმე არ უნდა მქონდეს, ისეთ ადგილებში ვიარო, სადაც არ უნდა დავდიოდე, ისეთი რამეები ჩავიდინო, რასაც არ უნდა ჩავდიოდე.

ამგვარი ფიქრებით გართული ავიდა მესამე სართულზე და ნაცნობ კარებთან ზარს თითი დააჭირა. ამ კარებს იგი თითქმის ყოველდღე ხედავდა უკანასკნელი დღეების განმავლობაში. თმაგაჩეჩილმა და [illegible], კუზიანმა და ჯუჯა მოსამსახურე ქალმა, რომლის შესახედაობაც ოჯახის პროვინციულობასა და მოდერნისტულ მორთულობას შორის კონტრასტს გაგრძნობინებდათ, კარი გაუღო და მაშინვე გაუჩინარდა. ისღა უთხრა, სინიორინა გელოდებათ.

ლუციო ხოლში შევიდა. ეს ქუჩის მხარეს მდებარე ვრცელი დარბაზი იყო (უფრო გრძელი, ვიდრე ფართო), რომელიც ტანვარჯიშისათვის გაკეთებულ დარბაზს უფრო მოგაგონებდათ, რადგან ავეჯი არსად ჩანდა და პარკეტის იატაკიც ცვილით იყო გაპრიალებული. მხოლოდ დარბაზის სიღრმეში ერთი დიდი მტვრიანი და დაწეწილი დივანი იდგა, რომლის ირგვლივ იატაკზე ისეთი ნივთები ეყარა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მაგიდაზე აწყობენ ხოლმე: პატეფონი, ხილი, ჩაიდანი, ფინჯანი, პატეფონის ფირფიტები, რამდენიმე ილუსტრირებული ჟურნალი, ტელეფონის აპარატი, ტელეფონის საცნობარო წიგნი, ბოლომდე გათხუპნული ნამწვავებით სავსე საფერფლე.

ბაბა დივანზე გამოწოლილიყო, ფეხები ზევით აეწია, თავი კი დაბლა დაეღო.

ლუციოს შემოსვლისთანავე ზეწამოიწია, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ მისალმებოდა (ეს ეწინააღმდეგებოდა მისი ქცევის ყველა წესს), არამედ იმისათვის, რომ ფირფიტა გამოეცვალა პატეფონზე. ბაბა ახოვანი იყო, უბრალო პირისახე და ხშირი გრუზა თმა ჰქონდა.—მას რომ ლურჯი შარვალი და წითელი სასპორტო კვერი არ ჩაეცვა—ფიქრობდა ლუციო—სოფლის სანდომიან ქალწულად მოეჩვენებოდა. მაგრამ მისი მავი და დიდრონი, თითქმის გაჩერებული თვალები, მუქი ხშირი და ძილმორეული წამწამებით გადაჭრილი, მას გარეგნულ და მოსულელო ადამიანის გამომეტყველებას აძლევდა, რაც სავსებით შეეფერებოდა მის ჩაცმულობასა და ქცევას.

— გაფრთხილებ, რომ დღეს არ არის ხელსაყრელი ამინდი, თავს უცნაურად ვგრძნობ, — უთხრა მან ლუციოს ისე, რომ ზედ არცკი შეუხედავს. ლუციომ ამოიხვნეშა და იქვე იატაკზე ჩაცუცქულმა უპასუხა: — როდის იყო, რომ შენ არ გრძნობდი თავს უცნაურად?

ბაბამ ხმა არ გასცა, გამოუცვალა ფირფიტა პატეფონს და, ისევ ისე, დივანზე წამოწვა. ლუციო მას ფეხების ფრატუნით მიუახლოვდა, მაგრამ იმწამსვე ხელი უკან გასწია და ხმადაბლა დაიწუწუნა ტკივილისაგან. მას ხელი დასწვა პაპიროსმა, რომელიც თურმე ბაბას თითებშუა ეკავა. ბრაზმორეულმა გაიფიქრა:—აჰა ჩემს თავზე. უმიზეზოდ ეარშიყებოდა ბაბას და ელოდა, რომ უნაყოფობასა და უსიხარულობას შეიძლებოდა უცებ მოჰყოლოდა რაიმე ბუნებრივი და სასურველი და აი შედეგი... ამასობაში პატეფონის ფირფიტაზე გიტარის პირველ აკორდებს რაღაც ზანტი ხმა მოჰყვა, თითქოს მომღერალს კარგად ვერ დაეხსომებინა სიმღერის სიტყვები.

ლუციო ფეხზე წამოიჭრა და პატეფონს დააცქერდა.

— კი, მაგრამ, ეს ფირფიტა სამოცდათვრამეტზე უნდა დაგვეყენებინა, შენ კი ოცდაცამეტზე დაგიყენებია.

ბაბამ გაჭიანურებული ხმით უპასუხა:— ნუ ერჩი.

— მაინც რატომ?

— იმიტომ!

თითქოს რაღაცის გამომხატველი, მაგრამ ხელი [illegible] სიმღერა ყურთასმენას ახშობდა. ლუციომ პატეფონი გააჩერა. ბაბამ უყვირა: რატომ გააჩერე! — წამოხტა დივნიდან და მუქარით მოუქნია სანადირო დანა, რომელსაც სარტყელით ატარებდა. მერე დამშვიდდა, მივიდა შუშაბანდთან და ცხვირით მიაწყა შუშას. რამდენიმე წამის შემდეგ საშინელი ხმით წამოიძახა: „უყურე, აბა უყურე!" ლუციო უხალისოდ ადგა და ბაბას შემოუერთდა, რათა თვითონაც ენახა მწვანე ფოთლებით მოფენილი სანაპირო ქუჩა. შუა ქუჩაზე, ასფალტის ღრანტში, მოჩანდა გამჭვირვალე გუბე, რომელშიაც ირეკლებოდა ზეცა და ღრუბლები, ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებული ერთი დიდი ჭრელი ფურგონი, შიგ ერთი ცხენი რომ ება. ფურგონის ფარდები ჩამოშვებული იყო, საიდანაც სამ კაცს გამოეხედა მეთხუთმეტე საუკუნის სტილის მეტად მახინჯი [illegible]. ერთ-ერთი ცხენი წყლიანი ფეხით სცემდა ასფალტს. ბაბა დაჟინებით განაგრძობდა: „უყურე ამ ცხენს, საშინელი არ არის?".

მაგრამ ლუციომ იფიქრა, ბაბა ინტერესებისა და ნამდვილი გრძნობების სიყალბის გამო, რაღაც უაზრო ორიგინალობას ეძებს, რომ ამით თავი მოიწონოს და, ამიტომ, ხმა არ გაუცია მისთვის. მისი გონება კვლავ დაუბრუნდა ნაწვიმარი ტყის სურნელებას და თავის თავს ეკითხებოდა, თუ ტყეში გასეირნების ნაცვლად, ყოველთვის ბაბას სახლში რატომ ტრიალებდა. როცა მობრუნდა დარბაზისაკენ, ბაბა უკვე დაბრუნებულიყო თავის დივანთან. მობუზული, თავჩაღუნული იჯდა და მეტად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. თითქოს მნიშვნელოვან და ძნელ საქმეს აკეთებსო, ცდილობდა ტელეფონის საცნობარო წიგნი ორ ნაწილად გაეხია. ბაბა მოუბრუნდა ლუციოს და უთხრა:—ამბობენ, რომ რაღაც განსაკუთრებული ღონეა საჭირო ტელეფონის ცნობარის ორ ნაწილად გასახევად, ვნახოთ ვინ არის უფრო ღონიერი, როგორც ვეცდით, მე შევეცდები წიგნი ახლა გავხიო, მერე შენც შეეცადე [illegible] შენი ღონე.

ლუციომ შენიშნა:—კი, მაგრამ, ტელეფონის ცნობარი საჭირო და სასარგებლოა, მერე რას იზამ უცნობაროდ?

ნომერს სხვისგან ვკითხავ, ან სულ მივატოვებ ტელეფონით ლაპარაკს.

ლუციო ხედავს, თუ როგორ გახსნა წიგნი ბაბამ და სიტყვების დამარცვლით დაიწყო კითხვა:

...აი სწორედ აქ გაგხევ... მერე გაშალა წიგნი, მაგრამ ამაოდ ცდილობდა მის გახევას. სწორედ ამ დროს დარბაზის სიღრმეში კარი გაიღო და ბაბას მამა შემოვიდა. იგი დაბალი, ჯმუხი კაცი იყო, მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, შავი და გრუზა თმა მოლად შევერცხლოდა. მან ყვირილი დაიწყო, რომელიღაც მკვახე და უცხო დიალექტზე, რომელიც ლუციოსათვის თითქმის გაუგებარი იყო. ბაბამ იმავე დიალექტზე გასცა პასუხი. ლუციომ გაიგო, რომ ლაპარაკი სწორედ ტელეფონის საცნობარო წიგნზე იყო, რომელიც ბაბას მამამ აიღო ხელში. მას ყურადღებაც არ მიუქცევია ლუციოს სალმისთვის. მამის გასვლის შემდეგ ბაბა დიდი მონდომებით შეუდგა სანადირო დანის წვერით შავ-წითლად შეღებილი ფრჩხილების წმენდას.

— ყოველთვის ასე ხდება,—ფიქრობდა ლუციო,—ბაბა ჯერ ერთ საქმეს მოკიდებს ხელს, მერე—მეორეს, მერე კიდევ—მესამეს. თითქმის ყველა საქმე მალე ღლის, დაუმთავრებლად სტოვებს, თითქოს თვითონვე გრძნობდეს ყოველივე იმის უაზრობას და უსარგებლობას, რასაც აკეთებს.

ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ლუციომ, ვითომ საუბრის წამოწყებისათვის უთხრა ბაბას:

— სხვათაშორის, ერთი მეტად საინტერესო წიგნი წავიკითხე.

— რომელი?

მართლაც ამ დღეებში ლუციომ წაიკითხა მეცნიერულ-პოპულარული წიგნი ატომური ენერგიის შესახებ, რომელმაც ძალიან დააინტერესა. მან დაიწყო ბაბას უწიგნურობის და დიდად გაცხოველებული ახსნა-განმარტება ატომისა და მისი თვისებების შესახებ. ბაბა უსმენდა. მას დიდი ხშირი წამწამებით, ნახევრად დახუჭული ლამაზი და იდიოტური თვალებით უყურებდა.

ბოლოს ჰკითხა:

—ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მე რათ მეუბნები ასეთ რამეებს?

ლუციომ დარცხვენით უპასუხა:—ვფიქრობდი, რომ ამას შეეძლო შენი დაინტერესება.

— სულ არ მაინტერესებს და არც არაფერი გამეგება.

— მაშ მითხარი, რა საგნები გაინტერესებს?

— არ ვიცი.

ცოტახნის ფიქრის შემდეგ ლუციო შეეკითხა: — გინდა კინოში წავიდეთ?

— არა, არ მინდა.

— გინდა, ცოტა გავისეირნოთ მანქანით?

— არც ეს მინდა.

— გინდა წავიდეთ და ნაყინი ვჭამოთ?

— თუ ღმერთი გწამს, გამანებე თავი!

— მაშ გინდა აქ დავრჩეთ?

— არც აქ მინდა დარჩენა!

— მაშ შენ თვითონ თქვი რა გინდა.

ლუციომ დაინახა, თუ როგორ ამოიღო ბაბამ ქარქაშიდან თავისი სანადირო დანა, მერე მან ეს დანა მოიქნია, მთელი თავისი ღონით ჩაარჭო დივანში. და თქვა:—აი, ეს მინდა!

ეს ჩვეულებრივი უცნაურობა იყო. ლუციოს დიდი ხანია აღარ აინტერესებდა, თუ რატომ იქცევა ბაბა ასე უცნაურად. ის ფიქრობდა, რომ, ბაბასთან არშიყობის გარდა, სხვა არაფერი დარჩენია, მაგრამ ამ ფიქრის მიზეზი სასოწარკვეთილება იყო. თუმცა ბაბა მოსწონდა, მაგრამ მან დიდი ხანია აღუძრა ზიზღი თავისი ცარიელი ექსცენტრიულობით.

ადგა, დივანზე წამოჯდა და თითქმის ინსტიქტურად შეავლო ქალწულს ხელი საკოცნელად. ქალმა ისეთი სიძლიერით ჰკრა ხელი, რომ კინაღამ იატაკზე დავარდა.

— მე გაგაფრთხილე, უცნაურად ვგრძნობ თავს მეთქი, შენ კი სასიყვარულო [illegible] მაახლოვდები. ხომ არ შეიშალე?

ლუციომ უცებ იგრძნო, რომ მოთმინება ეკარგებოდა. მან წარმოიდგინა, რომ ეს იმდენად უარყოფილი კოცნის მიზეზით არ მოსდიოდა, რამდენადაც მთელი თავისი ცხოვრების მიზეზით, რომელმაც დიდი ხანია გაუთანაბრა ბაბას. ბრაზმორეულმა შეუტია ბაბას:

— შეშლილი თვითონ შენა ხარ!

— კეთილი, შეშლილი მე ვარ, ასე იყოს, ოღონდ შენ კიდევ ნუ შეეცდები ჩემს კოცნას.

— მაშინ თვითონ შენ მაინც მითხარი, რა გავაკეთოთ?

— მოდი ახლა ვითამაშოთ: მე...

მისმა გამომეტყველებამ ლუციოს აგრძნობინა, რომ ბაბამ თვითონაც არ იცოდა რა უნდა ეთქვა. არც დააცალა ფრაზის დამთავრება, ასწია მარჯვენა ხელი და ერთი კაი მაგარი სილა უთავაზა. ბაბამაც მყისვე გაარტყა იმავე მაგარი სილა. ლუციომ იგრძნო, როგორ აენთო მის გულში სიძულვილი.

—იქნებ...—ფიქრობდა ის, როცა ბაბას თმაზე ჩაჭიდა ხელი და დივანზე წააქცია—იქნებ სწორედ ეს არის ის ბუნებრივი ამბავი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ ელოდა, როგორც ამგვარი უაზრო სიტუაციის შედეგს. ლუციო ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სილა ეთავაზებინა ბაბასთვის, ხოლო ბაბა თავის მხრივ არანაკლები სიძულვილით ცდილობდა დაეკაწრა მისთვის პირისახე და მუხლი ჩაერტყა მუცელში. ცოტახანს ასე იბრძოდნენ. მერე ორივე იატაკზე ჩამოგორდა და იქ განაგრძეს გაშმაგებული ბრძოლა. ბოლოს ბაბამ მოახერხა თავის დაღწევა, დარბაზიდან გაიქცა და სრულიად მოულოდნელად შემოსძახა:

— ხვალ დილით დამირეკე!

ლუციო, ჯერ კიდევ სულშეხუთებული სწრაფად წამოხტა, როგორც შეეძლო, თმა გაისწორა, ტანსაცმელი გაიწმინდა და ოთახში გავიდა. ერთ-ერთი კარი ნახევრად მიხურული აღმოჩნდა. იქიდან ქალის ყვირილი მოისმოდა. იქნებ ეს ბაბას დედა იყო, რომელიც რაღაც საყვედურს გამოსთქვამდა გაღიზიანებული კილოთი. ლუციო გავიდა, გასასვლელი კარი მიიხურა. როცა ფართო სანაპირო ქუჩაზე ჭადრების გრძელ ხეივანში მიდიოდა, ლუციომ კვლავ იგრძნო ნაწვიმარი ტყის სურნელება, მაგრამ ამჯერად მან, სიამოვნების ნაცვლად პირიქით, აგრძნობინა, თუ რა უბედური იყო. მან გაიფიქრა, რომ შესაძლებელია მისი სიცოცხლე არასდროს არ დაემსგავსოს ასეთ სასიამოვნო სურნელებას და, პირიქით, ყოველთვის ასეთ უსიამოვნო პირებთან ჰქონდეს საქმე. იგი ფიქრობდა, რომ უცხო მხარეში მოხვედრილი ადამიანის მსგავსად, სანამ გაერკვეოდეს ვითარებაში, შესაძლებელია საკმაოდ ბევრი შეცდომა მოუვიდეს. ამ შედარებამ ახლა ცოტათი მაინც ანუგეშა.—ვინ იცის—ფიქრობდა იგი,—იქნებ შეცდომებს საინტერესო ამბები მოჰყვეს.

იტალიურიდან თარგმნა
ვ. ანასტასიძემ

ახალი წიგნები

„ლიტერატურა და ხელოვნებამ" რუსულ ენაზე გამოსცა



ქართული ხალხური იუმორი. (რედაქცია და წინასიტყვაობა მ. ჩიქოვანისა. შეადგინეს დ. შენგელაიამ და მ. ჩიქოვანმა. წიგნში შეტანილი იგავები და ზღაპრები თარგმნეს ა. ბესტავაშვილმა, მ. ზავერინმა, გ. მინაძემ, ლ. პლატონოვამ, თ. ჭოტორიძემ, ნ. დოლიძემ). რედაქტორი — მ. ზავერინი, მხატვარი — ა. გურო, ფასი 87 კაპ.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მოთხრობები. (დ. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები. მთარგმნელები ე. ანანიაშვილი, ნ. დოლიძე, ე. კორიევა, მ. ლოლობერიძე, ფ. თვალთაძე, ნ. აკერმანი, ფ. კორცბერი, ნ. ზხეიძე, გ. ცაგარელი). რედაქტორი — ლ. კალანდაძე, მხატვარი — ე. ქუთათელაძე. გვ. 576, ფასი 1 მან. 17 კაპ.

ნოდარ დუმბაძე — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი. (თარგმანი ზ. ახვლედიანისა). რედაქტორი — ი. გოცირიძე, მხატვარი — დ. ნოდია. გვ. 202, ფასი 26 კაპ.

როდამ დგებუაძე — განთიადის დოლური. (თარგმანი ე. ილიკულამიანისა). რედაქტორი — ს. კალანდაძე, მხატვარი — ი. გურო, გვ. 188, ფასი 25 კაპ.

გიორგი შატბერაშვილი — მკვდრის მზე. (მოთხრობები, თარგმნილი გ. მინაძის, კ. კორინთელის, ფ. თვალთაძის, ე. ორჯონიკიძის, ი. დადიანისა და მ. ლობჟანიძის მიერ). რედაქტორი — მ. ზავერინი, მხატვარი — თ. სამსონაძე, გვ. 224, ფასი 35 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ბ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 13, ტელეფონი — 8-47-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03485